საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია

Академия наук туризма Грузии

Tourism Scientific Academy of Georgia

ISSN 1987 – 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL

პროფესიონალის ხმა

ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА

PROFESSIONAL‘S VOICE

№ 1-2 (34)

2024

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia
ISSN 1987 - 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL

პროფესიონალის ხმა

ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА

PROFESSIONAL`S VOICE

№ 1-2 (34)

2024

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

УДК 37.01+93/9+81/82+61+330.1+34+5+796 პ–294

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია
Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“ დაფუძნდა 2013 წლის 1 ნოემბერს. იგი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას და იბეჭდება ამავე აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. გამოდის 2013 წლის დეკემბრიდან. ჟურნალში ქვეყნდება ექსპერიმენტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სამეცნიერო შრომები პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოლოგიის, მედიცინის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში. ჟურნალს მინიჭებული აქვს სერიული გამოცმების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN). ჟურნალი რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

Периодический научный журнал «Голос профессионала» учрежден 1 ноября 2013 года. Он является периодическим научным изданием Академии наук туризма Грузии и печатается по решению президиума Академии. Выходит с декабря 2013 года. В журнале публикуются экспериментальные, теоретические и практические научные труды в сфере педагогики, истории, филологии, медицины, экономики, экологии, правоведения, физики, математики, культуры, спорта и туризма. Журналу присвоен Международный стандартный номер серийных изданий (ISSN). Журнал реферирован в грузинском реферативном журнале техинформации Грузии.

Periodical Scientific Journal “Professional`s Voice“ was established on November 1st , 2013. Representing periodical scientific edition of Tourism Scientific Academy of Georgia it is being published under the resolution of the Academy. Is periodically issued since 2013. Different kinds of scientific works and researches such as experimental, theoretical and practical ones in the fields of Pedagogics, History, Philology, Medicine, Economics, Ecology, Law, Physics, Mathematics, Sports and Tourism are being represented. The journal has been awarded the international Standard Serial Number (ISSN) and has been refereed in the review journal of technical information of Georgia.

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო კოლეგია:

ომარ ცხადაძე - პროფესორი /თავმჯდომარე/
ედიშერ ცხადაძე - პროფესორი
სერგეი ხრიპკო - პროფესორი /უკრაინა/
დარია ჯუსუპოვა - პროფესორი /ყაზახეთი/
ვლადიმერ წვერავა - პროფესორი
ომარ მინდაძე - პროფესორი
ელენე ტროხიმეცი - პროფესორი /უკრაინა/
მთავარი რედაქტორი - **ომარ ცხადაძე**
რედაქტორი - **ლიანა ლორია**
პასუხისმგებელი მდივანი - **ლუარა ღოღობერიძე**
კორექტორი - **ვლადიმერ ცხადაძე, შორენა სიხარულიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა - **ნონა კვერნაძე**

ЖУРНАЛ ИЗДАЕТСЯ ПО РЕШЕНИЮ ПРЕЗИДИУМА АКАДЕМИИ НАУК ТУРИЗМА ГРУЗИИ

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

ОМАР ЦХАДАДЗЕ – профессор (председатель),
ЭДИШЕР ЦХАДАДЗЕ – профессор,
СЕРГЕЙ ХРИПКО – профессор (Украина),
ДАРИЯ ДЖУСУПОВА – профессор (Казахстан),
ВЛАДИМИР ЦВЕРАВА – профессор,
ОМАР МИНДАДЗЕ – профессор,
ЕЛЕНА ТРОХИМЕЦ – профессор (Украина)
Гл.Редактор-**ОМАР ЦХАДАДЗЕ**
Редактор-**ЛИАНА ЛОРИЯ**
Ответств.секр.-**ЛУАРА ГОГОБЕРИДЗЕ**
Корректоры-**ВЛАДИМИР ЦХАДАДЗЕ, ШОРЕНА СИХАРУЛИДЗЕ**
Комп. обесп.-**НОНА КВЕРНАДЗЕ**

JOURNAL ISSUED UNDER THE RESOLUTION OF THE
PRESIDIUM OF TOURISM SCIENTIFIC ACADEMY OF GEORGIA

EDITORIAL BOARD:

OMAR TSKHADADZE – professor (chairman),
EDISHER TSKHADADZE – professor,
SERGEI KHRIPKO – professor (Ukraine),
DARIYA JUSSUPOVA – professor (Kazakhstan),
VLADIMIR TSVERAVA – professor,
OMAR MINDADZE – professor,
ELENA TROKHIMETS – professor (Ukraine).
Editor-in-chief - **OMARI TSKHADADZE**
Editor - **LIANA LORIA**
Executive secretary - **LUARA GOGOBERIDZE**
Proofreaders - **VLADIMIR TSKHADADZE, SHORENA SIKHARULIDZE**
Comp.supp. - **NONA KVERNADZE**

შორენა სიხარულიძე
ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, უკეთესი საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევად

ბავშვის ჰარმონიულ პიროვნებად აღზრდისთვის, უკეთესი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგების მისაღწევად, განუზომლად დიდია სკოლისა და ოჯახის როლი, რაც მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით გამოიხატება.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იზრდება მათი მოტივაცია, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და უყლიბდებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. კვლევები ცხადყოფს, რომ მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება, არა მარტო მოსწავლეზე, არამედ თავად მშობელზე, პედაგოგზე და ზოგადად სკოლაზე. სწორედ ამიტომ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად შეიძლება მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი და ამასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.

რაც უფრო იხვეწება განათლების სისტემა, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშობლის როლი სასწავლო ცხოვრებაში. აღნიშნულ თემაზე მრავალი კუთხით შეიძლება საუბარი, მაგრამ მთავარი ერთია- რაც უფრო მეტად არის მშობელი ჩართული და დაინტერესებული შვილის სასკოლო ცხოვრებით, მით უფრო მეტი შანსია მოსწავლემ მიიღოს სრულყოფილი და ხარისხიანი განათლება.

მშობელთა ნაკლებ ჩართულობას სასწავლო პროცესში შესაძლოა მრავალი მიზეზი განაპირობებდეს; მათ შორის, დროის სიმცირე,ამის გარდა, მშობელთა ჩართულობაზე შეიძლება იმოქმედოს ოჯახის ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მშობელთა განათლების დონემ, შვილების რაოდენობამ, ქორწინების მდგომარეობამ და ა.შ. მაგალითად მშობლები, რომელთა

განათლების დონეც უფრო მაღალია, მეტად ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, ვიდრე ის მშობლები, რომლებიც განათლების უფრო დაბალ საფეხურზე დგანან. მშობლები, რომლებსაც უფრო ცოტა შვილები ყავთ მეტად აქტიურები არიან სკოლის ცხოვრებაში, ვიდრე მრავალშვილიანები. თუ მშობელი დარწმუნებულია, რომ მას საკმარისი კომპეტენცია აქვს, რათა შვილს სწავლის პროცესში დაეხმაროს , თამამად ერთვება სკოლის ცხოვრებაში.

მშობელთა ჩართულობა ასევე დადებითად აისახება მოსწავლეთა დასწრებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც მეტად არის მშობელი შვილის სასწავლო პროცესში ჩართული, მით უფრო ნაკლებად აცდენს ბავშვი გაკვეთილებს. მშობლის ჩართულობა, რომელიც გამოიხატება საშინაო დავალების შემოწმებით და ბავშვებთან ერთად კითხვით, პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან, ხოლო მშობელთა მიერ შვილების მონიტორინგი, შვილებისა და მშობლების დისკუსიები, ასევე მშობლის სკოლის ცხოვრებაში ჩართულობა დადებითად მოქმედებს ბავშვის მიერ სკოლაში სიარულზე.

ზოგიერი სკოლა ცდილობს, მშობელთა ჩართულობა მშობლის თვალით განიხილოს. კლასის დამრიგებლები აწყობენ მშობელთა კრებებს და სემინარებს სკოლაში ან ბუნებაში, სადაც ისინი თავისუფლად იგრძნობენ თავს. სკოლის გარეთ კრებების მოწყობა ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. კლასის ხელმძღვანელმა მშობელი უნდა წაახალისოს, მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა ხდება ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში, ილაპარაკონ იმ მიმდინარე პროცესებზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის მიღწევებზე.

მშობელი ინფორმირებული უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგების, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, არსებული დისციპლინური ნორმებისა და სასკოლო მიზნების თაობაზე. დირექტორმა და მასწავლებელმა მშობელთან პოზიტიური კომუნიკაციის რეგულარული გრაფიკი უნდა შეადგინოს, ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერი და კულტურული განსხვავებულობა.

სკოლებმა კომუნიკაციის ისეთი სტრატეგიები უნდა გამოიყენონ, რომლებშიც შვილის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია მშობლისათვის ხელ-

მისაწვდომი გზით და გასაგებად იქნება გადაცემული. კლასის ხელმძღვანელი სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის მშობელს გულთბილად უნდა შეხვდეს, ამით ხელი ეწყობა თბილი და კონსტრუქციული გარემოს შექმნას.მშობელთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ გახსნილი და დადებითად განწყობილნი, მშობელს ეს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების დაფასებული წევრები არიან.

სკოლაში დამკვიდრებული უნდა იყოს ახალი მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიღების წესი. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები, ძველი მოსწავლეების მშობლები საგანგებო შეხვედრას უწყობდნენ ახლადმოსულ ბავშვებს და მშობლებს, აცნობენ მათ სკოლას, ამით მშობლები ხდებიან მოტივირებულები, სასწავლო პროცესში აქტიურები.

როდესაც სკოლას მეტი მხარდაჭერა აქვს მშობლისგან, იზრდება სკოლის იმიჯი საზოგადოებაში, სკოლებში სადაც მოსწავლეთა მოსწრება ძალიან დაბალია, მშობლის ჩართულობის გაზრდის შემდეგ ეს მაჩვენებელი აშკარად უმჯობესდება. პედაგოგმა უნდა სთხოვოს დახმარება მშობელს მოსწავლის მუშაობაში ჩასართველად, შეადგინოს საქმიანობის ჩამონათვალი, ჩაატაროს მშობელთა გამოკითხვა ან შეხვედრა, თუ რა სახის დახმარებას საჭიროებენ მშობლ ები მოსწავლის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესში ეფექტიანად ჩასართავად.

მასწავლებლებმა უნდა განახორციელონ პროექტები, სადაც ჩართული იქნება მოსწავლის მშობლები. მაგალითად ,,მხიარული სტარტები'' მშობლების მონაწილეობით. მხიარული სტარტების ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ყველა მშობლის ჩართულობა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს აქტივობების თანაბარ გადანაწილებას სპეციალური საჭიროების მქონე მშობლებზე, ერთმშობლიანი ოჯახის მოსწავლეებზე და მათ თანმხლებ პირებზე მსგავსი პროექტები და აქტივობები უამრავია, რაც მშობელს მონაწილეობას მიაღებინებს სასწავლო პროცესში.

მოსწავლეებს მოტივაციას უმაღლებს ისეთ სასკოლო გარემოში სწავლა, სადაც მშობელს პატივს სცემენ, მიიჩნევენ პარტნიორად, კომუნიკაცია აქვთ სკოლის პერსონალთან და სხვა. მშობელთა ეფექტიანი ჩართუ-

ლობის პროგრამა, რომელსაც სკოლა ახორციელებს, უნდა აღიარებდეს სწავლებაში მშობლის როლის მნიშვნელობას.

მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო სცხოვრებაში არის უპირობო და აუცილებელი. რაც უფრო მეტად იქნება მშობელი ჩართული შვილის განათლების მიღებაში, მით მეტია შანსი, რომ მოსწავლემ მიიღოს განათლება იმ ხარისხით, რაც საკმარისი იქნება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და მით უფრო მეტია შანსი მისი ჩამოყალიბების რომელიმე დარგის სპეციალისტად.

სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის

უმასპინძლეთ მოსწავლეთა ოჯახებს სკოლაში შემდეგ ღონისძიებებზე:

-ნამცხვრების ცხობა და გაყიდვა ქველმოქმედებისათვის;

-წიგნების გამოფენა-გაყიდვა; -საქველმოქმედო აქცია.

-სემინარები მშობლებისათვის - როგორ ჩაერთონ შვილის განათლებაში;

-მშობლის/მოსწავლის საორიენტაციო დღე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში; სპექტაკლები (მოსწავლეები თავად აკეთებენ მოსაწვევებს მშობლებისთვის);

-სკოლის გარეშე პროგრამები;

-კონფერენციები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, მიღწევებს მშობლების წინაშე.

მშობელთან ურთიერთობისას გამოიყენეთ სხვადასხვა საშუალებები:

-შეიმუშავეთ კომუნიკაციის მეთოდი, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ მშობელზე (დარეკვა, იმეილი, მესიჯი, შეხვედრა);

-შეაქმნევინეთ მოსწავლეებს ბლოგები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლებისთვისაც;

-მისწერეთ მშობლებს საერთო ინფორმაციის შემცველი წერილები,

-მოუწყვეთ შეხვედრები დირექტორთან;

-შეაფასებინეთ საკუთარი თავი მოსწავლეებს და წარუდგინეთ მშობლებს;

-აწარმოეთ ანგარიშები მოსწავლეთა შესახებ, გააცანით ისინი მშობლებს ინდივიდუალურად;

-განიხილეთ მშობლებთან ერთად სხვადასხვა გადაწყვეტილება (რეგულაციები, წესები, შეფასების სისტემა, დავალებების ტიპები);

-მიეცით რეკომენდაციები მშობლებს მოსწავლის ამა თუ იმ ნიჭის გამოსავლენად;

-აღნიშნეთ ხშირად, თუ რას აკეთებს მოსწავლე კარგად;

მოსწავლის რვეულში გააკეთეთ აღნიშვნები მიღწევების შესახებ;

-გამართეთ შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა დროს: გაკვეთილების შემდეგ, გაკვეთილების დაწყებამდე, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ; -ჩაატარეთ საჭიროებათა კვლევა (გამოკითხვა) მოსწავლეებსა და მშობლებში;

-გაუზიარეთ მშობლებს მოსწავლის შესახებ სრული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოებისა და განმავითარებელი შეფასების შესახებ, კომენტარებით.

უზრუნველყავით მშობელი დამატებითი რესურსებით.

-შესთავაზეთ ტრენინგები მშობლებს მათთვის საინტერესო თემებზე (მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენის სწავლება, მოსწავლის საშინაო დავალებების მომზადება);

-ჩაატარეთ სემინარები ფსიქოლოგებთან ერთად, ასევე პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური პროგრამების არჩევის შესახებ;

-გააცანით მშობლებს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის სტრატეგიები, გაუზიარეთ შესაბამისი რესურსი.

ამგვარი აქტივობების შესრულება ხელს შეუწყობს მშობლის მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს მიაღწევენ: ექნებათ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, კეთილგანწყობილი იქნებიან სკოლის მიმართ და ექნებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. ბავშვის მოტივაცია და მიღწევები გაუმჯობესდება, როცა მშობლე-

ბი აქტიურად მონაწილეობას მიიღებენ შვილის წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან და რამოდენიმე სკოლის პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას,რომ ჯანსაღი კომუნიკაცია მშობელსა და სკოლას შორის ზრდის განათლების დონეს და წიგნიერებისაკენ სწრაფვას მოზარდებში. ამაღლებს მშობელთა პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს მოსწავლის საოჯახო და სასკოლო გარემოს შერწყმა-შეკავშირებას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწავლა - სწავლების ჰარმონიზაციას, რაც სავიზიტო ბარათი გახდება მომავალი თაობის ასევე ჰარმონიული წინსვლა- განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბასილაძე, - „პედაგოგიკის საკითხები“,1999 წ.
2. . თ. მარჯვანიძე. „გენდერული თანასწორობა სასკოლო სპორტის და ფიზიკურ აქტივობაში“, - 2019წ.
3. ს. გორგაძე. „ მშობელი სასკოლო ცხოვრებაში“ , - 2016
4. ნ. დათიაშვილი. „სკოლა - ოჯახი - საზოგადოება“, 2008წ.
5. თ. ბექიშვილი. „ მასწავლებელი - მოსწავლე - მასწავლებელი - უწყვეტი ჟაჭვი“, 2015წ.
6. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის - „მშობელთა ჩართულობა“, თბილისი 2015.
7. ა. ჯანელიძე „მშობელთა ჩართულობა“, 2017წ.
8. ო.კილაძე „ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“, თბილისი 2019წ

შორენა სიხარულიძე
ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, უკეთესი საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევად

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის პრობლემის იდენტიფიცირება და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ვითარების შესწავლა. ასევე, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება, მშობელთან ურთიერთობის ხერხებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა, იდენტიფიცირება, საგანმანათლებლო სივრცე

Шорена Сихарулидзе
Руководитель Образовательного ресурсного центра Чохатаури

Вовлечение родителей в школьную жизнь для достижения лучших результатов обучения.

Резюме

Цель статьи – выявить проблему вовлечения родителей в образовательный процесс и изучить текущую ситуацию в грузинском образовательном пространстве. А также предложение путей решения проблемы, определение способов и средств общения с родителями.

Ключевые слова: родительское участие, идентификация, образовательное пространство.

Shorena Sikharulidze
Head of Chokhatauri Educational Resource Center

Involving parents in school life to achieve better educational outcomes

Summary

The aim of the paper is to identify the problem of parents' involvement in the educational process and to study the current situation in the Georgian educational space. Also, proposing ways to solve the problem, determining ways and means of communicating with parents.

Key words: parental involvement, identification, educational space

ვლადიმერ ცხადაძე
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

აკაკი წერეთელი ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის სწორ ფიზიკურ აღზრდას. იგი სხეულის გამოწრთობას თვლიდა არა მარტო ფიზიკური ჯანმრთელობის ძირითად პირობად, არამედ მოზარდის ჰარმონიული განვითარების, „ჭკუა გონების გავარჯიშების და გამოწვრთვნის“, მოზარდში სულიერი სიმხნევის გამომუშავების მნიშვნელოვან წინა პირობად. აკაკი ბავშვების ყოველმხრივ აღზრდასა და განვითარებაში განსაკუთრებით გამოყოფდა ფიზიკური აღზრდის ისეთ საშუალებას, როგორიცაა ქართული ხალხური თამაშები. დიდ მწერალს სასკოლო ფიზიკური აღზრდის მაშინდელი სისტემა, რომელიც ძირითადად „გიმნასტიკის“ სახელით იყო დაფუძნებული, მიაჩნდა მოზარდის ჯანმრთელობის გაუარესების საშუალებად. აღნიშნულ მდგომარეობაზე იმ დროინდელი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების მოსაზრებები, უყურადღებოდ რჩებოდა. ამის ერთ-ერთი მანიშნებელი იყო ქართული ხალხური თამაშების იგნორირება, მივიწყება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, აკაკი წერეთლი იმ პერიოდში წინ წამოწევს საკუთარ მოსაზრებებს, გვთავაზობს ფიზიკური და შრომითი საქმიანობის მიახლოვებას თამაშთან და პირიქით, თამაშის შრომით საქმიანობასთან. აქ იგი უპირატესობას ანიჭებს ქართულ ხალხურ თამაშებს, თამაშისათვის ბავშვების მიერ სათამაშოების დამზადებას და ამით შრომითი ჩვევების დაუფლებას. სათამაშოებისა და თამაშობათა სიკეთეს აკაკი სამი სხვადასხვა წესის მიხედვით განიხილავდა. „რამდენად ავარჯიშებენ ისინი ყმაწვილის ჭკუა გონებას, რამდენად აწრთობენ და ანვითარებენ ბავშვის სხეულსა და რამდენად გამოსადეგნი არიან იმისათვის, რომ ბავშვს შრომა შეაყვარონ და იგი შრომისათვის მოამზადონ. შრომით ელემენტს აკაკი თამაშის წამყვან ელემენტად თვლიდა, მხოლოდ ის თამაშია კარგი, მიუთითებდა იგი, რომელიც ხერხემლად, საყრდენად შრომას იყენებს. ბავშვს ის სათამაშო იზიდავს და აინტერესებს, რომელშიც ბავშვის შრომა პოულობს გამოხატულებას, ასეთი სათამაშო ბავშვს არ სწყინდება, მასში ბავშვი სულიერ კმაყოფილებას პოულობსო.“[1.70] ამით აკაკი, მიგვანიშნებს და გვაძლევს, თამაშობათა მნიშვნელობას შრომითი ელემენტების თავისებურებათა შერწყმასთან და მკვეთრად უარყოფს თამაშობათა წარმოშობის შესახებ იმ პერიოდისათვის განსხვავებულ აზრებს.

აკაკის აზრით, თამაშის დროს სიამოვნებას ის კი არ იწვევს, რომ ბავშვის ფიზიკურმა ენერგიამ გამოსავალი ნახა, არამედ იმის განცდა, რომ მან შრომა დახარჯა, საქმე გააკეთა. თამაში კუნთების სიამოვნება კი არ არის, არამედ გულისა და გონების სიამოვნებაა, დასახული მიზნის მიღწევით გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით, პროფესორი უშანგი ობოლაძე იზიარებს აკაკის აზრებს და წერს: „შრომა თავის გართობის მიზნით მოძრავი სათამაშოების გაკეთებიდან, ბავშვის ზრდასთან ერთად, მოზრდილების შრომა-საქმიანობაზე დაკვირვების შედეგად, თანდათან სრულფასოვანი, პროდუქტიული ხდება და დიდი მნიშვნელობის მორალური ზეგავლენის საშუალებად იქცევა.“[2.27] მეტად საინტერესოა დიდი მგოსნის, ა.წერეთლის ბავშვობის წლები, მისი აღზრდა და განვითარება. იქ ნათლადაა გამოკვეთილი ფიზიკური წრთობის ისეთი საშუალებები როგორიცაა: პატარების თავიდანვე შეჩვევა სიცივისადმი, ყინვისადმი, წვი-

მაში ფეხშიშველა სიარული, სხვადასხვა თამაშები, სირბილი, ცხენოსნობა, ცურვა, იარაღის ხმარება, ფარიკაობა, ნიშანში სროლის შესწავლა და სხვა.

აკაკი („ჩვენი თავგადასავალი“) იგონებს: „საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ, არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილაობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინა, გამოგვერბინა. დასველებული და სიცივისაგან დაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო...ახალ გაზაფხულზე წვიმა რომ მოვიდოდა, ჩვენ სალის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭა ამოგვსლოდა.“[3.13] აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სკოლამდელთა აღზრდის მოზარდთა სწორი აღზრდისადმი. იგი წინ წამოწევდა ჯანსაღი, ხალისიანი, მკვირცხლი ახალგაზრდების აღზრდას ფიზიკური აღზრდის საშუალებათა ფართოდ გამოყენებით. აქ აკაკი უპირატესობას ანიჭებდა ბავშვთა აღზრდას ბუნებაში, მინდვრად, ძირითადად სოფლის პირობებში, რასაც ვხედავთ მისი საკუთარი პიროვნების აღზრდაში.

„გათენდებოდა თუ არა, -იგონებდა აკაკი,-უქუდო ფეხშიშველი გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი...აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან...გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალებენ და სხვანი-სულ მრავალფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს, ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი.“[4.21] აკაკი ქალაქში და სოფლად გაზრდილ ბავშვს შორის დიდ განსხვავებას ჰხედავს. იგი უპირატესობას სოფლად, ბუნების წიაღში აღზრდას ანიჭებს. გულდაწყვეტილი იგონებს სოფელში გატარებულ წლებს: „რვა წლისა ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა-ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქედანვე იწყება მეორეც მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელი.“ იმდენად დიდი იყო აკაკის სიყვარული სოფლისადმი, იქ გატარებული ბავშვობის წლებისადმი, რომ პოეტი კვლავ დიდი ინტერესით აგრძელებს მასზე საუბარს: „აბა წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩალებული“ ქალაქელი

ყმაწვილი...ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს...გამოსუდრული ტანსაცმელში, საძრაობა აღარ აქვს...ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურ-ჩევნია, მაგრამ განა გაბედავს. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია“.[5.16]

აკაკის ზემოთ აღნიშნული მოსაზრებანი საყურადღებო ელემეტებს შეიცავს და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. უფრო მეტიც, პოეტი სოფლელი ბავშვის უპირატესობას იმაშიც ხედავდა, რომ იგი სათამაშოსაც თავისი ხელით ამზადებდა. აღნიშნულის შესახებ აკაკი ხაზგასმით წერ-და: „აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელსაც თავისი ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად დაჰკრავს-გამოჰ-კრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამომბული ბუშტის ბურთი და შიშით ვეღარ ინძრევა არ გამიფრინდესო.“ [6.712] ქალაქად და სოფლად ბავშვის აღზრდის თავისებურებებისა და აქედან გამომდინარე ქალაქად ბავშვის აღზრდის ნაკლოვანებებს თავის დროზე შეეხნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგება-შვილი, ლ. ბოცვაძე და სხვა მოწინავე ქართველი მოაზროვნეები, რომელ-თა მოსაზრებები, ბავშვთა სოფლად თუ ქალაქად აღზრდის შესახებ, სრუ-ლიად ემთხვევა ა.წერეთლის შეხედულებებს. ანალოგია, ისიც რომ ყველა ისინი, გამოდიან იქიდან, სოფლად, სუფთა ჰაერზე, ქალაქთან შედარებით მეტი შესაძლებლობებია ბავშვებში შრომითი საქმიანობის ჩვევების დასა-უფლებლად სუფთა ჰაერზე შრომა, ჯანმრთელობის მიღწევის კარგი სა-შუალებაა. ყოველივე ეს განაპირობებს ფიზიკური აღზრდის მიზნის მიღ-წევას ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით.

ა. წერეთელი სკოლამდელი ასაკის ბავშვების სრულყოფილად აღ-ზრდის საქმეში გამოყოფდა ქართულ ხალხურ თამაშებს და გართობებს. იგი ხაზგასმით წერდა: „ქართველების ოდენი სხვადასხვა სათამაშო თით-ქმის არც ერთ ხალხს არ აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ასეთია, რომელიც ჭკუა გონებასა და სხეულს წრთვნის, ავარჯიშებს... დავასახე-ლებ მხოლოდ ბურთაობას“. აბა რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას? ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანა-სწორად ეჩვევა სიმარდეს.“[7.713]

აკაკი წერეთელი ბურთაობის გარდა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ისეთ თამაშობებზე, როგორიც არის: ქორობია, კურდღლობია, კენჭობია, კოჭობია და სხვა. (ესენი დღეს ყველა მივიწყებულია ვ.ც.) იგი „ქორობიას“ თამაშის მიმართ განსაკუთრებით აღნიშნავს, რადგან ამ თამაშში ბავშვი საგნებისა და მოვლენებისადმი მეტ აქტივობას და ყურადღებას იჩენს.

ა. წერეთელი იგონებს „ქორობიას“ თამაშს და წერს, რომ „ ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამით ვაბოლოვებდი ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს მეთქი? – „ჭამა უნდაო.“- მიპასუხებდა ხოლმე ძიძა და დაიწყებდა სიცილს. არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არა არის რა, განზრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნელოდ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოდ, მაგრამ დღეს რო უკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო სიცოცხლე გამწარებული და სხვა მისი კუთხეები - წიწილები... ქორებივით ესეოდნენ... იტაცებდნენ ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთიანებული, ფერხულჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“. თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა.“[8.714] როგორც ვხედავთ ა. წერეთელი ბავშვობაში სოფლად გატარებულ წლებს, სუფთა ჰაერზე თამაშს მის შინაარსს, დადებითად განცდას და უარყოფითი ემოციების განდევნას, ფიზიკურ აქტივობასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებდა, რაც თანამედროვე პირობებში აქტუალურია. დიდი მწერლის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია დღესაც მათთვის, ვინც ბავშვების აღზრდას ემსახურება, განსაკუთრებით იმ მშობლებისათვის, ვისაც სურს აღზარდოს ჯანსაღი შვილები, გონებრივად ყოველმხრივ მომზადებული და განვითარებული თაობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უშანგი ობოლაძე, აკაკი და ახალგაზრდობა, თბილისი. 1980წ. გვ.70
2. უშანგი ობოლაძე, „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული 1, თბილისი. 1953 წ.
3. აკაკი წერეთელი. ტ.7 თბილისი, 1958 წ. გვ.13.
4. ომარი ცხადაძე, „ფიზიკური აღზრდის პრობლემები ქართველ მოღვწეთა ნააზრევში“.ქუთაისი, 2000წ. გვ.21.
5. ა.წერეთელი, ტ.7. თბილისი, 1958 წ. გვ.16.გვ.
6. აკაკი წერეთელი, თხზულებანი. თბილისი, 1980 წ. გვ.712.
7. აკაკი წერეთელი, თხზულებანი. თბილისი, 1980 წ. გვ.713
8. აკაკი წერეთელი, თხზულებანი. თბილისი, 1980 წ. გვ.714

ვლადიმერ ცხადაძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

აკაკი წერეთელი ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ

რეზიუმე

წერილი ეხება ცნობილი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე. კერძოდ, ქართული ხალხური თამაშების მიახლოვებას შრომით საქმიანობასთან და პირიქით. აქ იგი უპირატესობას ანიჭებს ქართულ ხალხურ თამაშებს სოფლად, თამაშისათვის ბავშვების მიერ სათამაშოების დამზადებას და ამით შრომითი ჩვევების დაუფლებას. დიდი მწერლის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია მათთვის, ვინც ბავშვების აღზრდას ემსახურება, განსაკუთრებით იმ მშობლებისათვის, ვისაც სურს აღზარდოს ჯანსაღი, გონებრივად ყოველმხრივ მომზადებული და განვითარებული თაობა.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდა, ქართული ხალხური თამაშები, ქართული სოფელი.

Владимир Цхададзе
Академик Академии наук туризма Грузии.

Акакий Церетели о важности физического воспитания

Резюме

В письме говорится о взглядах известного грузинского писателя Акакия Церетели на физическое воспитание. В частности, приблизить грузинские народные игры к работе и наоборот. Здесь он предпочитает грузинские народные игры в сельской местности, изготавливая игрушки для детей и тем самым осваивая трудовые навыки. Жизнь великого писателя – лучший пример для тех, кто занимается воспитанием детей, особенно для тех родителей, которые хотят вырастить здоровое, морально подготовленное и развитое поколение.

Ключевые слова: физическое воспитание, грузинские народные игры, грузинское село.

Vladimir Tskhadadze
Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Akaki Tsereteli about the importance of physical education

Summary

The letter refers to the views of the famous Georgian writer Akaki Tsereteli on physical education. In particular, bringing Georgian folk games closer to work and vice versa. Here he prefers Georgian folk games in rural areas, making toys for children to play with, and thereby mastering working habits. The life of a great writer is the best example for those who are involved in raising children, especially for those parents who want to raise a healthy, mentally prepared and developed generation.

Key words: physical education, Georgian folk games, Georgian village.

ომარი ცხადაძე
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტის
რექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი

დიმიტრი მინდიაშვილი - ჩემპიონების აღმზრდელი

დიმიტრი მინდიაშვილი (1933-2021) იყო რუსეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი სპეციალისტი, რომელმაც აღზარდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის და მრავალ საერთაშორისო ასპარეზობებზე გამარჯვებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. დაიბადა თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

დიმიტრი მინდიაშვილმა 1964 წელს დაამთავრა კრასნოიარსკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი იყო რუსეთის ფედერაციის შრომის გმირი, სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, რსფსრ ფიზიკური კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ხაკასეთის (ციმბირის), ბურიატიის, იაკუტიისა და დაღესტნის რესპუბლიკების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი. სსრკ-ის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, ქალაქ კრასნოიარსკის საპატიო მოქალაქე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაჯილდოებულია ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“ მე-4 (2000) და მე-3 ხარისხის (2008), ხალხთა მეგობრობის (1976), „ღირსების სამკერდე ნიშანი“ (1971), მედალი „შრომის ღირსებისათვის“, საქართველოს უმაღლესი ჯილდო - საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენი (2003 წ.). მე-20 საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეების აღზრდისთვის, ასევე პრაქტიკული დახმარების გაწევისთვის მაღალი საერთაშორისო დონის მოჭიდავეებისა და მწვრთნელების მომზადებაში თურქეთში, იაპონიაში, იტალიაში, ავღანეთში, ინდოეთში, პოლონეთში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში, საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციამ (FILA) მას ორი ოქროს ორდენი გადასცა. ის იყო ბალტიისპირეთისა და პეტროვსკის პედაგოგიური აკადემიების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის საერთაშორისო აკადემიის, აშშ-ს მეცნიერების,

განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის, საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის და საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. 2004 წელს აირჩიეს რუსეთის განათლების აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 2013 წელს დ. გ. მინდ იაშვილს მიენიჭა კრასნოიარსკის ტერიტორიის საპატიო მოქალაქის წოდება.

დ.მინდიაშვილი არის ორი ენციკლოპედიის, ექვსი წიგნისა და მრავალი სასწავლო შრომის ავტორი. მინდიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები და სასწავლო მეთოდური შრომები: განვიხილავთ დ.მინდიაშვილის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან რამოდენიმე გამოცემას. „**არ დამტოვო, სიყვარულო... წლები და ბედი**“, 2003 წ.გამოცემა. წიგნი ეძღვნება ოჯახს - ცოლს, შვილებს, შვილიშვილებს. ასევე მეგობრებს და სტუდენტებს. წიგნის მთავარი იდეა: სიყვარული არის ის, რაც ღმერთს უნდა სთხოვო. იმდენი უნდა იყოს, რომ მას შემდეგაც კი, რაც ადამიანი დაასრულებს დედამიწაზე ცხოვრებას, ის შემდგომ უნდა აგრძელებდეს სხვა ადამიანების სიყვარულსა და გათბობას. „**თავისუფალი სტილით ჭიდაობის ენციკლოპედია“,** გამოშვების წელი 2018. წიგნში გაანალიზებულია თავისუფალ ჭიდაობაში აღსაზრდელთა სწავლების ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების გაუმჯობესების მეთოდები. სახელმძღვანელო განკუთვნილია სპორტის აკადემიების, ინსტიტუტებისა და ფიზიკური აღზრდის განყოფილებების სტუდენტებისთვის. „**თავისუფალი ჭიდაობა“,** აქ ვეცნობით ისტორიას, მოვლენებს. გამოშვებულია 2007 წელს. ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული სპორტის საცნობარო წიგნი, მისი შინაარსი უდავოდ უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი საცნობარო წიგნისა და მოიცავს არა მხოლოდ მოვლენების ქრონოლოგიას, რომელიც სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის - თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, არამედ ოლიმპიური ჩემპიონების ბიოგრაფიები, მათი თანამედროვეებისა და მეგობრების მოგონებებს ეხება. წიგნი მოგვითხრობს სპორტული ჭიდაობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე, ოლიმპიურ ტურნირებზე და ოლიმპიურ ჩემპიონებზე თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური მოძრაობის არსებობის მთელი პერიოდის

განმავლობაში - 1896 წლიდან 2004 წლამდე. წიგნი დაწერილია ჩანაწერების საფუძველზე. ჭიდაობის სფეროში მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე დაგროვილი ავტორების დაკვირვებებისა და არქივების, ასევე პრესაში გამოქვეყნებული ან მიღებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ჭიდაობის სპეციალისტებთან გასაუბრებით. „**დიდი ხალიჩის ოსტატები**“, გამოშვების წელი 1993. მოთხრობილია თავისუფალი სტილით ჭიდაობის ცნობილ ექსპერტებზე. მიმზიდველ, საინტერესო ფორმაშია განზოგადებული სპორტის ამ სახეობის, წარმოშობის ისტორია მსოფლიოში. ჩამოყალიბებულია მისი განვითარების გზები დღემდე. წიგნში გამოყენებულია ფოტოები საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ნადეჟდა მიხაილოვნა მიშჩენკოს არქივიდან. „**თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკის ენციკლოპედია**“, გამოშვების წელი 2013. ეს სახელმძღვანელოც განკუთვნილია აკადემიების, ინსტიტუტების და ფიზიკური აღზრდის განყოფილებების სტუდენტებისთვის. „**თავისუფალი ჭიდაობა კრასნოიარსკის რეგიონში**“, გამოშვების წელი 1998, გამომცემლობა - კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წიგნი დაწერილია კრასნოიარსკის რეგიონის თავისუფალი სტილით ჭიდაობის წამყვან ექსპერტებთან თანაავტორობით. იგი კრასნოიარსკში პირველად გამოქვეყნდა. ავტორებმა წარმოადგინეს რამდენიმე სანტერესო ფაქტი რეგიონში თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული რეგიონში თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარების პროცესზე.

დიმიტრიმ შრომისა და სწავლის მეტად საინტერესო გზა გაიარა. სკოლაში წარჩინებულ მოსწავლედ, ლიდერად ითვლებოდა. მე-7 კლასში ლიტერატურის გაკვეთილებზე ინტერესით გაეცნო დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას. ყაზბეგის წიგნებში აღწერილმა მაღალმთიანი სოფლების ნათელმა რომანტიკულმა სურათებმა გაიტაცა დიმიტრის ფანტაზია. ოჯახისა და მასწავლებლების დარწმუნების საპირისპიროდ, 1947 წლის გაზაფხულზე, მე-7 კლასის გამოცდების წინა დღეს, გადაწყვიტა დაეტოვებინა სკოლა და მწყემსი გამხდარიყო.

სიღნახის რაიონის სოფელ ნუკრიანში დიმიტრი მთელი ძალით ცდილობდა დაუფლებოდა ნამდვილი მამაკაცის პროფესიას მწყემსობას

და როგორც მწყემსი, მალე ბრიგადაში ყველაზე პატივსაცემი პიროვნება გახდა, ხშირად წამყვანი მწყემსის ადგილს იკავებდა. მას დიდი სურვილი ჰქონდა თავისი ცხოვრება მწყემსის პროფესიისათვის დაეკავშირებინა, რომ არა ერთი ობედური შემთხვევა. მთაში ჭექა-ქუხილში მოყვა და უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში აღმოჩნდა. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ექიმებმა მას სრული დასვენება ურჩიეს. ბებიასთან და ბაბუასთან დაბრუნებულმა დაიწყო სწავლის გაგრძელება.

„გრანდიოზული საღამოები“ ყოველთვის დაუვიწყარი მოვლენა იყო ქართული სოფლის ცხოვრებაში. ჩვეულებრივ მათ პროგრამაში შედიოდა თამაშები, ცეკვა და, რა თქმა უნდა, ქართული ხალხური ჭიდაობა. საღამოს დასაწყისში მთელი სოფელი იკრიბებოდა ჭიდაობის საყურებლად და მოუთმენლად ელოდა ბრძოლის დაწყებას. სოფლის ამ საღამოებზე, - იხსენებს დიმიტრი მინდიაშვილი, თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „არ დამტოვო, სიყვარულო“, - ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა და ამან, თავის მხრივ, კვალი დატოვა სოფლის ახალგაზრდობაში, გვაიძულებდა ვყოფილიყავით უფრო ყურადღებიანი და გააზრებული, ჩავღრმავებოდით ცხოვრების დეტალებს, შეგვემუშავებია საკუთარი ღირსების კოდექსი. სოფელში ბრძოლა არასოდეს ყოფილა მხოლოდ ბრძოლა. თავიდანვე ეს იყო ფიზიკური და მორალური აღზრდის ელემენტი“[1].

14 წლიდან დიმიტრი დაინტერედა ჭიდაობით და სისტემატიურად იღებდა მონაწილეობას. მისი პირველი მასწავლებელი იყო ბიძაშვილი ზაქარია ხალილაშვილი, რომელიც სკოლაში ჭიდაობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იგი დიმიტრის პირველი სპორტული ნაბიჯების არა მარტო სულისჩამდგმელი, არამედ ცხოვრების მაგალითიც გახდა.

მე-8 კლასის დამთავრებისთანავე დიმიტრიმ მძღოლის ასისტენტად დაიწყო მუშაობა. ამას მოჰყვა სამხედრო სამსახური. იგი გახდა ჯარისკაცი. 1952 წლიდან მსახურობდა ასტრახანში სარაკეტო ძალებში. ძალიან მალე იგი გაგზავნეს უმცროს მეთაურთა პოლკის სკოლაში, მიიღო სერჟანტის წოდება, სკოლის დამთავრების შემდეგ მეთაურობდა რაზმს, იყო ოცეულის მეთაურის მოადგილე, შემდეგ კი ასეულის სერჟანტის მაიორი. სამხედრო სამსახურში სარგებლობდა ავტორიტეტითა და პატივისცემით

ჯარისკაცებს შორის, გამოირჩეოდა ლიდერული თვისებებით, ძლიერი ხასიათით.

სამსახურის წლებში დიმიტრი გაიტაცა სპორტმა. თბილისელ მეგობართან ხაჩიკ მაზმიშვილთან ერთად, მოაწყო ჭიდაობისა და ძალოსნობის შეჯიბრებები. გახდა თურქესტანის სამხედრო ოლქის ჩემპიონი ამ სპორტში.

1954 წელს დიმიტრის ცხოვრებაში მოხდა უჩვეულო მოვლენა, რომელიც სამუდამოდ დარჩება მის მეხსიერებაში. მისი პოლკი გადაიყვანეს ყაზახეთში, სემიპალატინსკის რაიონში, სადაც, მკაცრი საიდუმლოების პირობებში, აშენდა სარკინიგზო ხაზი საწვრთნელ მოედანზე, რომელიც მდებარეობდა დისლოკაციის ადგილიდან 85 კილომეტრში. სწორედ იქ ჩატარდა ატომური ბომბის გამოცდები. ტესტირების დღეს ჯარისკაცები პოლიგონიდან 350 კილომეტრის დაშორებით ღია სტეპში გადაიყვანეს. მოჰყვა ბრძანება: „დაწექი ზურგით სავარჯიშო მოედანზე, შემობრუნების გარეშე“. კაშკაშა შუქი აინთო, მზეს მოწმენდილ ცაზე დაბნელდა და სამმა ზედიზედ აფეთქებამ შეძრა დედამიწა. როდესაც ჯარისკაცები თავიანთ ადგილს დაბრუნდნენ, გაირკვა, რომ ყაზარმები აფეთქებამ და ჰაერის ტალღამ მიწასთან გაასწორა. გამოცდილების ფსიქოლოგიური შოკი, რომელიც გაძლიერდა სახელმწიფო საიდუმლოების შენახვის უწყვეტი ინსტრუქციებით, გახდა სერიოზული გამოცდა ჯარისკაცებისა და მეთაურებისთვის.

1955 წლის დეკემბერში დემობილიზაციის შემდეგ დიმიტრი მინდიაშვილი კომკავშირის ბილეთით წავიდა აბაკან-ტაიშეთის რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც მუშაობდა მძღოლად. იგი გულის წადილით გაემგზავრა ციმბირში, წაყვა საყვარელ გოგონას - ციმბირელს, ულამაზესი ქართული სახელით თამარას, რომელიც სემიპალატინსკში მუშაობის დროს გაიცნო. 1956 წელს ისინი დაქორწინდნენ და მალე გადავიდნენ კრასნოიარსკში, სადაც დიმიტრი განაგრძობდა მძღოლად საქმიანობას კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე და სხვა ობიექტებზე. იგი ყოველთვის სტუმართმოყვარე იყო მეგობრებისა და ნაცნობებისთვის. იქ დაიბადა პირველი ვაჟი ვალერი. დიმიტრი განაგრძობდა სპორტს და ცდილობდა კარგი მოჭიდავე გამხდარიყო. იგი მისდევდა

კლასიკურ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, რადგან ჭიდაობის სხვა სახეობები, მათ შორის მისი საყვარელი თავისუფალი სტილი, რეგიონში არ იყო დანერგილი. დიმიტრი გახდა სპორტულ საზოგადოება „პიშჩევიკის“ მთავარი მწვრთნელი. იქვე ვარჯიშობდა დიმიტრი მინდიაშვილის პირველი მწვრთნელი სოლოპოვი, რუსეთის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტის პირველი ოსტატი ჭიდაობაში რეგიონში, რომელიც სარგებლობდა უზარმაზარი ავტორიტეტით.

1957 წელს დიმიტრი გახდა ქალაქ კრასნოიარსკის ჩემპიონი, ერთი წლის შემდეგ - კრასნოიარსკის ტერიტორიის ჩემპიონი და იასპარეზა რუსულ და სხვადასხვა რანგის გაერთიანებულ შეჯიბრებებზე. მას სულ უფრო მეტად იზიდავს თავისუფალი სტილით ჭიდაობა და ვარჯიშს იწყებს დიდი სიყვარულით.

1958 წელს თბილისში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის პირველობა. აქ დიმიტრი მინდიაშვილმა, ექვსი გამარჯვება მოიპოვა და კრასნოიარსკის მხარეში პირველმა შეასრულა სსრკ სპორტის ოსტატობა.

1959 წლიდან დიმიტრი პარალელურად იწყებს ახალგაზრდა სპორტსმენების წვრთნას თავისუფალ ჭიდაობაში, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ტრუდის“ სპორტულ ცენტრში სრულ განაკვეთზე. მწვრთნელობაში პირველივე ნაბიჯებიდან დიმიტრი მინდიაშვილმა აჩვენა სპორტსმენის ფსიქოლოგიის ღრმა გაგება, ცდილობდა სრულად გამოეჩინა თითოეული მოსწავლის პიროვნული პოტენციალი. გუნდის გასაძლიერებლად მწვრთნელმა ერთმანეთის მონახულების, ოჯახური არდადეგების ერთად აღნიშვნის, კინოთეატრებისა და მუზეუმების მონახულების ჩვეულება გააცნო. შეჯიბრებებზე და სასწავლო ბანაკებზე კრასნოიარსკის გუნდი შესამჩნევად განსხვავდებოდა სხვებისგან თავისი მეგობრული, თბილი ურთიერთობებით.

მწვრთნელმა დავალება მისცა თითოეული მოსწავლეს, ვინც განყოფილებაში მოვიდა. დაარწმუნა ისინი, რომ მხოლოდ მაღალ მიზნებს შეუძლია ნამდვილად დაატყვევოს ადამიანი და განსაზღვროს მისი მომავალი ცხოვრება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მან საკუთარ თავს

ასეთი მაღალი მიზანი დაუსახა - მოამზადოს დიდი სპორტსმენები, რომლებიც გაიმარჯვებენ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებებზე.

საყურადღებოა ერთი ფაქტი. 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში კრასნოიარსკი სპორტის თვალსაზრისით ღრმა პროვინციად დარჩა. სიტუაციის შესაცვლელად ახალგაზრდა მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი პირადად აწყობს თავისუფალი სტილით ჭიდაობის სექციებს ქალაქის მრავალ საწარმოში, ეძებს და ავარჯიშებს ნიჭიერ მოჭიდავეებს.

1959 წელს დ.გ. მინდიაშვილი სამუშაოდ მიდის თავისუფალი სტილით ჭიდაობის მწვრთნელად ნსს „ტრუდის“ რაიონულ საბჭოში სრულ განაკვეთზე. 1960-იანი წლების დასაწყისისთვის მისი მოსწავლეები უკვე გამოდიოდნენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩემპიონატებზე. ის თავად აგრძელებს სპორტსმენად ასპარეზობას, თუმცა უკვე მწვრთნელად არის ჩართული თავისუფალი სტილით ჭიდაობის ეროვნულ ნაკრებში.

1960-იანი წლების შუა პერიოდისთვის ქალაქი კრასნოიარსკი გახდა რეგიონის თავისუფალი სტილით ჭიდაობის ცენტრი და აქ მომავალ ჭიდაობის სკოლას ჩაეყარა საფუძველი. კრასნოიარსკის ტერიტორიის ავტონომიურ ოლქში, ხაკასიაში მუშაობს მინდიაშვილის მოწაფე, სსრკ-სა და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ჩარკოვი. 1966 წელს ვ. ჩარკოვმა კრასნოიარსკის თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თავისი მოსწავლე ივან იარიგინი, მიიყვანა.

დ.მინდიაშვილი მოგვიანებით წერდა: „რამდენიმე წლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ რეგიონში თავისუფალი სტილით ჭიდაობის საძირკვლის შესაქმნელად, მაღალი რანგის შეჯიბრებებში გამოსვლის უნარის მქონე მოჭიდავეების ძებნისა და არჩევის შემდეგ, ჩემს გვერდით დადგა ბიჭი, რომლის სახელიც არასოდეს წაიშლება მსოფლიო სპორტის ისტორიიდან“[2]. ეს იყო მომავალი ჩემპიონი ი.იარიგინი.

თავდაპირველად დიმიტრი მინდიაშვილი, როგორც დამწყები მწვრთნელი გულმოდგინედ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. იგი ინტერესით ეძებდა ახალახალ გზებს მოსწავლეებთან უფრო ახლოს მისასვლელად, მათ დაინტეზესებას, მათში მორალური და ფიზიკური

თვისებების ჩამოსაყალიბებლად. მრავალრიცხოვან მოსწავლეთა შორის დიმიტრიმ მწვრთვნელ ჩარკოვთან ერთად გამოავლინა მომავალი ჩემპიონი, უნიკალური შესაძლებლობების მქონე ივანე იარიგინი. ივანე კრასნოიარსკის მკვიდრი იყო. როგორც კი იგი შრჯიბრებებზე გამოჩნდა თავისი ტექნიკისა და სიძლიერის გამო, მას მრავალი შემოთავაზება ჰქონდა სხვადასხვა სპორტული საზოგადოებებისაგან, მაგრამ მაინც დარჩა კრასნოიარსკში თავის მწვრთნელთან ერთად. ივან იარიგინისთვის, მისი მშობლიური ციმბირის მიწა უფრო ღირებული იყო, ვიდრე ყველა სხვა მაცდური შეთავაზება. მან პატრიოტიზმის მაგალითი მისცა ახალგაზრდა, მრავალ დამწყებ მოყვარულ სპორტსმენებს. დიდი შრომისმოყვარეობით, შეუპოვრობითა და სიმამაცით, აჩვენა თავისი ციმბირული ხასიათი ყველაზე ექსტრემალურ პირობებში ხალიჩებზე მთელს მსოფლიოში. ამ ლეგენდარულმა სპორტსმენმა, კეთილმა, პატიოსანმა და მოკრძალებულმა რუსმა, დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

კრასნოიარსკის ტერიტორიაზე ოლიმპიური გზა სწორედ ვლადიმირ ჩარკოვისა და დიმიტრი მინდიაშვილის მოსწავლემ ივან იარიგინმა გახსნა, ის იყო პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კრასნოიარსკის მხარეში და პირველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთში თავისუფალ ჭიდაობაში. მან გზა გაუხსნა ოლიმპიური სიმაღლეებისკენ ციმბირის უმაღლესი სპორტის ჭიდაობის სკოლის მოსწავლეებს.

ივან იარიგინი ახლო მეგობარი იყო ჩვენი საამაყო სპორტსმენის ლევან თედიაშვილის:

„ერთხელ აშშ-ში ტურნე ჰქონია სსრკ ნაკრებს და თავისუფალი დრო როცა გამონახეს, კინოთეატრს ეწვია ეს ორი მეგობარი. დარბაზში ამათ უკან ფერადკანიანთა მთელი ჯგრო მჯდარა, ერთ-ერთს ივანას (ასე მოიხსენიებდა ხოლმე ლევანი იარიგინს), სავარძელზე ფეხები შემოუდია, მიუხედავად გაფრთხილებისა, ფეხი ჩაეწია, მაინც თავისას არ იშლიდა ხულიგანი, ლევანმაც ვერ მოითმინა და მამაპაპური ალიყური უთავაზა. ფილმი მიდის, ატყდა დიდი მუშტი-კრივი. მოვიდა რამდენიმე ხანში პოლიცია, აანთეს დარბაზში სინათლე და რას ხედავენ, ხოხავს ორი ათეული აფროამერიკელი კინოს იატაკზე და ეს ორი მეგობარი სპორტსმენი

კი შემდგარია ფეხებით თუ ვინმე ტოკავს თავად საღ-სალამათნი. წაიყვანა სასწრაფომ ივანას და ლევანას დაბეჟილი ბიჭები, ეს ორი ფალავანი კი შერიფმა პოლიციაში გადაიყვანა. თურმე ნუ იტყვით და ეს ნაჟეჟი აფრო-ამერიკელები, რომელიღაც რადიკალური სექტის წევრები ყოფილან. გამოაცილეს დიდი პატივით თედიაშვილი და იარიგინი, ფეშქაშად კი მაჩიგანის საპატიო შერიფის წოდება მიანიჭეს ორივეს.“ [3]. (ინტერნეტ საიტიდან „დაჟეჟილი სექტანტები“)

ინტენსიურად დაიწყო დიმიტრიმ ახალი ნიჭიერი მოსწავლეების ძებნა. თავის მხრივ დ. მინდიაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი მოსწავლეები სსრკ-ს ნაკრებში შესულიყვნენ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1967 წელს, უკვე რსფსრ დამსახურე-ბული მწვრთნელის წოდებით, დ.მინდიაშვილი საქართველოში ჩამო-ვიდა, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის რანგში.

რუსთავში, სადაც მინდიაშვილი თავის სტუდენტებთან ერთად დასახლდა, მის განყოფილებაში ვარჯიშის მსურველთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა და ერთ დღეს იქ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოჭიდავე ლევან თედიაშვილი გამოჩნდა. დიმიტრი იხ-სენებს: ”კარიდან ლევანმა თქვა, რომ მხოლოდ ჩემთან უნდოდა ვარჯიში, რადგან დარწმუნებული იყო: მე ვიყავი ნამდვილი მწვრთნელი, რომელ-საც სპორტსმენი ერთხელ ხვდება ცხოვრებაში”.[4]. რუსთავში ვარჯიშის პერიოდში მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის ძალიან თბილი ურ-თიერთობა ჩამოყალიბდა, რომელიც მომავალში არ შეწყვეტილა. 1968 წელს დიმიტრი გახდა ლევან თედიაშვილის პირადი მწვრთნელი სსრკ-ს ნაკრებში.

 რამდენიმე წლის შემდეგ, მიუნხენის ოლიმპიადაზე როდესაც ლე-ვან თედიაშვილი ჩემპიონი გახდა, დ.მინდიაშვილთან მიიჭრა ლევანი, ჩაეხუტა და აკოცა თავის საყვარელ მწვრთნელს, ჩამოჰკიდებს მე-დალს კისერზე შემდეგი სიტყვებით: "გეორგიევიჩ, ეს მედალი შენია!"

1968 წელს რიგაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მინდი-აშვილის მოწაფეებმა ერთდროულად 4 მედალი მოიპოვეს: ივან იარიგინი გახდა იუნიორთა შორის ეროვნული ჩემპიონი, მიხაილ შალიგინი,

მიხაილ ანტოშინი და ვლადიმერ ჩელნოკოვი ვერცხლის მედალოსანი გახდნენ.

1970 წელს ივან იარიგინმა მოიპოვა ოქროს მედალი მახაჩკალაში ეროვნულ ჩემპიონატზე, რის შემდეგაც მან წარმატებით მიიღო მონაწილეობა ყველა ელიტარულ საერთაშორისო ტურნირში: თბილისში, სოფიაში, თეირანში, მოიგო ევროპის ჩემპიონატი და წავიდა მიუნხენის ოლიმპიადაზე.

1972 წელს მიუნხენში, რინგერჰალის დარბაზში, შეიკრიბა ოლიმპიადისთვის მოჭიდავეთა რეკორდული რაოდენობა - 212 ადამიანი 41 ქვეყნიდან. ექსპერტები სსრკ-ს, ბულგარეთის, ირანის, მონღოლეთისა და აშშ-ს სპორტსმენებს უძლიერესად მიიჩნევდნენ. პლანეტის უძლიერეს მოჭიდავეებთან ბრძოლებში, ივან იარიგინმა დაამყარა ფანტასტიკური რეკორდი, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმემ გაიმეოროს: მან 8 ბრძოლა ჩაატარა 7 წუთში 20 წამში. ეს ჯამური დრო იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ერთი ბრძოლისთვის იყო საჭირო. მან 8 გამარჯვება მოიპოვა და ყველა მეტოქე დაამარცხა.

ივანე გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კრასნოიარსკიდან და ქალაქმა, სადაც ის გაიზარდა, როგორც სპორტსმენი, მიიღო თვისობრივად განსხვავებული სტატუსი, მასში სპორტის განვითარებას მიეცა ძლიერი იმპულსი. მსოფლიო ბრძოლის ცენტრად ქცეული კრასნოიარსკის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

1970 წლიდან 2001 წლამდე დ. მინდიაშვილი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების უფროსად და შემდეგ მთავარ მწვრთნელად მუშაობს. ამ პერიოდში მან ავარჯიშა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ივან იარიგინი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ვიქტორ ალექსეევი, მსოფლიოს პირველი აბსოლუტური ჩემპიონი ახმედ ატავოვი, მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ მოდოსიანი, ატლანტას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ადამ საიტიევი, საგიდ მურთაზალიევი, დავით გობეჯიშვილი და სხვები.

1973 წელს დ.მინდიაშვილის ინიციატივით, რეგიონული და ქალაქის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით, კრასნოიარსკში გაიხსნა

ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჭიდაობის სახეობებში უმაღლესი სპორტული სკოლა. ის კრასნოიარსკის მხარეში ჭიდაობის ნამდვილ ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ ცენტრად იქცა. 1993 წელს სკოლას ეწოდა მისი დამფუძნებლისა და დირექტორის დიმიტრი მინდიაშვილის სახელი.

1997 წელს კრასნოიარსკში დიმიტრი მინდიაშვილმა სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე გახსნა საბრძოლო სპორტის კვლევითი ლაბორატორია, სამაგისტრო სკოლა. რითაც საფუძველი ჩაეყარა კვლევით მუშაობას, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვას. სამეცნიერო საბჭოს აქტიური მუშაობის შედეგად, კვალიფიციური სამწვრთნელო პერსონალი წარმატებით სწავლობს ჩემპიონების აღზრდას მეცნიერულად შემუშავებული მეთოდოლოგიით. აქვე, კრასნოიარსკში გაიხსნა რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს ჭიდაობის ეროვნული გუნდების სპორტული მომზადების ცენტრის ფილიალი და ჩადიან ციმბირში, კრასნოიარსკში, უმაღლესი უნარებისთვის, სადაც ყველა პირობებია შექმნილი სპორტში მაღალი შედეგების მისაღწევად.

უმაღლესი სპორტის ბრწყინვალების სკოლისა და თავისუფალი სტილით ჭიდაობის ფედერაციამ შეიმუშავდა თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამა - ამჟამად რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სპორტის სახეობა.

სკოლის ოქროს ფონდში შედიან სსრკ და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელები, რომლებიც ავარჯიშებენ მაღალი საერთაშორისო კლასის სპორტსმენებს: ვ.ი. ჩარკოვი, ვ.ლ. გუსევი, ს.გ. ხაჩეკიანი, ფ.ი. პავლოვსკი, ა.ა. სოლოპოვი, ვ.პ. ზაიცევი, გ.ლ. ბახტურიძე, მ.ა. გამზინი, ვ.კ. რაიკოვი, ვ.პ. ალექსეევი, ვ.ა. ხორიკოვი, რ.ი. ზიმბალისტი, ვ.ნ. ალგინოვი, ა.ა. ოხაპკინი, ვ.ნ. ნაზაროვი, ვ.კუზნეცოვი, ვ.პ. შჩედრუხინი, პ.ვ. ტრუტნევი, ა.ა. სპანაგელი. მათ სათავეში ყოველთვის იდგა ლ.მინდიაშვილი.

კრასნოიარსკის სკოლის აქტიური მუშაობით აქ მომზადდა 7 ოლიმპიური ჩემპიონი, 2 ოლიმპიური მედალოსანი, ათობით რუსი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი.

დ.მინდიაშვილი წარმატებით აერთიანებს სამწვრთნელო, სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას. დიდ ენერგიას და ცოდნას უთმობს სამეცნიერო საქმიანობას. 1996 წელს მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მას მიენიჭა პროფესორის აკადემიური წოდება.

მას აქვს წოდება "რსფსრ ფიზიკური კულტურის დამსახურებული მუშაკი". 1998 წელს მან მიიღო პირადი მადლობის წერილი რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინისაგან, 2004 წელს მაღალი საერთაშორისო კლასის მოჭიდავეების აღზრდისთვის - პირადი მადლიერება რუსეთის პრეზიდენტის ვ.პუტინისაგან.

მე-20 საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავეების - ორგზის ოლიმპიური ჩემპიონების ი. იარიგინის, ლ. თედიაშვილისა და ბ. საიტიევის მომზადებისათვის, ასევე თურქეთში მაღალი საერთაშორისო დონის მოჭიდავეებისა და მწვრთნელების მომზადებაში პრაქტიკული დახმარების გაწევისთვის. (იაპონია, იტალია, ავღანეთი, ინდოეთი, პოლონეთი, რუმინეთი და სხვა ქვეყნები), ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მას საერთაშორისო ფედერაციის ორი ოქროს ორდენი გადასცა.

როგორც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დ. მინდიაშვილი მოსკოვში არ წასულა და მიუხედავად არაერთი მიწვევისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებისაგან, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კრასნოიარსკში. ის ხშირად ამბობდა: „მე უნდა ვიცხოვრო ან კრასნოიარსკში, ან ჩემს სამშობლოში საქართველოში“. იგი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://tbiliselebi.ge/ka/news/humor/dazhezhili-sektantebi

2.ალექსანდრე ელერდაშვილი, „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი“, (3 ტომად) თბილისი, „ფანტაზია“, 2006 წ.

3.Миндиашвили Д. „Не покидай меня, любовь.” Красноярск. 2018 г.

4. Миндиашвили Д. „Антология вольной борьбы.” Красноярск. 2010 г.

ომარი ცხადაძე
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტის
რექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი

დიმიტრი მინდიაშვილი - ჩემპიონების აღმზრდელი

რეზიუმე

შრომა ეხება რუსეთში მოღვაწე წარმატებულ ქართველ სპეციალისტს დიმიტრი მინდიაშვილს (1933-2021), რომელმაც აღზარდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის და მრავალ საერთაშორისო ასპარეზობებზე გამარჯვებული თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. იყო რუსეთის ფედერაციის შრომის გმირი, სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, რსფსრ ფიზიკური კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ხაკასეთის (ციმბირის), ბურიატიის, იაკუტიისა და დაღესტნის რესპუბლიკების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი. სსრკ-ის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, ქალაქ კრასნოიარსკის საპატიო მოქალაქე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკვანძო სიტყვები: კრასნოიარსკი, თავისუფალი ჭიდაობა, მსოფლიო ჩემპიონები, ბ.საიტიევი, ი.იარიგინი

Омари Цхададзе
Ректор Университета академии наук туризма Грузий, академик
академии образовательных наук Грузии, профессор

Дмитрий Миндиашвили - воспитатель чемпионов

Резюме

В работе говорится о работавшем в России успешном грузинском специалисте Дмитрий Миндиашвили (1933-2021), воспитавшем борцов вольного стиля, выигравших Олимпийские игры, мировые, европейские и многие международные соревнования. Он был Героем Труда Российской Федерации, Заслуженным тренером СССР, РСФСР и Республики Грузия,

Заслуженным работником физической культуры РСФСР, Заслуженным ра-работником республик Хакасия (Сибирь), Бурятии, Якутии и Дагестана, За-Заслуженный работник физической культуры и спорта. Мастер спорта СССР по вольной борьбе, почетный гражданин города Красноярска, доктор педагогических наук, профессор.

Ключевые слова: Красноярск, вольная борьба, чемпионы мира, Б.Сайтиев, И.Ярыгин.

Omari Tskhadadze

Rector of the University of the Georgian Academy of Tourism Sciences, academician of the Georgian Academy of Educational Sciences, professor

Dimitri Mindiashvili - breeder of champions

Summary

The work refers to the successful Georgian specialist Dimitri Mindiashvili (1933-2021) working in Russia, who raised freestyle wrestlers who won the Olympic Games, world, European and many international competitions. He was a Hero of Labor of the Russian Federation, Honored Coach of the USSR, RSFSR and the Republic of Georgia, Honored Worker of Physical Culture of the RSFSR, Honored Worker of the Republics of Khakassia (Siberia), Buryatia, Yakutia and Dagestan, Honored Worker of Physical Culture and Sports. USSR master of sports in freestyle wrestling, honorary citizen of the city of Krasnoyarsk, doctor of pedagogical sciences, professor.

Key words: Krasnoyarsk, freestyle wrestling, world champions, B.Saitiev, I.Yarigin

ვლადიმერ წვერავა
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორია–არქეოლოგიის დეპარტამენტი

გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1712-1786)

(პირველი ნაწილი)

ქართლიდან რუსეთში წასული ვახტანგ VI ეძებდა მფარველობას, რომელიც დაეხმარებოდა ქართლის მეფეს სამეფოს დაბრუნებასა და ქვეყნის გაერთიანების საქმეში. მოსკოვში ჩასულ ქართველებს სახელმწიფო კარი ადრიდანვე საქართველო–რუსეთის მომავალი სამხედრო–პოლიტიკური კავშირით აიმედებდა და ხელდებულ ქვეყანასთან ეკონომიკურ თუ კულტურულ თანამშრომლობას აფართოებდა, რუსი მოღვაწეები დაინტერესებული იყვნენ დიპლომატიურ, სამხედრო თუ სხვა სამსახურში ქართველთა შესვლით.

მოსკოვის ქართული ახალშენი, ადრევე იქცა ქართული კულტურისა და მეცნიერების მძლავრ კერად. ახალ ეპოქაში ქართველთა ამ ახალშენს კულტურის სფეროში თითქმის ისეთივე როლი დაეკისრა, როგორც ადრე – ათონის მონასტერს (ბიზანტიის იმპერიაში).

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვის ქართულ სამწერლო–სამეცნიერო ცენტრს, სიდიდითა და მნიშვნელობით, უცხოეთში არსებული ვერც ერთი იმდროინდელი ქართული კულტურის კერა ვერ შეედრებოდა. მოსკოველმა ქართველებმა ფართოდ გაშალეს სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობა ვრცელ იმპერიაში: ასტრახანს, ვლადიმირს, ნოვგოროდს, პეტერბურგს, ყიზლარსა და სხვაგან. აღნიშნული ქალაქებში ჩამოყალიბებული ქართული კულტურის კერები, არსებითად, მოსკოვის ქართული კოლონიის განშტოებანია.

რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დიდი დამსახურება მიუძღვით მშობელი ხალხის წინაშე სამწერლო, სამეცნიერო, საგამომცემლო, საგანმანათლებლო მიღწევებით მათ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია მრავალმხრივი, ხანგრძლივი მასშტაბური კვლევა–ძიებით გამოკვეთილი ახალი სამეცნიერო მიმართულება კავკასიათმცოდნეობა და კერძოდ, მისი ერთ–ერთი ძირითადი ნაწილი – ქართველთმცოდნეობა (სიხარულიძე, 1991:6)

ევროპელი მეცნიერები სწორად მიუთითებდნენ კავკასიათმცოდნეობის დაწინაურებაზე რუსეთში. ეს, ძირითადად ქართველ სწავლულთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დამსახურება იყო.

რუსეთში, მოსკოვის ქართულ ახალშენში მოღვაწე ქართველთა შესახებ, არა ერთი სტატია, გამოკვლევა თუ წიგნი დაიწერა და დაიწერება. ჩვენ გვინდა რამდენიმე სიტყვით მოგითხროთ გიორგი ბატონიშვილის შესახებ, კერძოდ, მის ღვაწლსა და როლზე რუსეთში, როგორც პირად ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ვახტანგ VI–ის უმცროსი ვაჟი გიორგი ბატონიშვილი დაიბადა 1712 წლის 12 აგვისტოს. იგი დედ–მამასთან ერთად იზრდებოდა საქართველოში, ვიდრე ვახტანგ VI ქართლის სამეფოში მომხდარი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო არ გახდა იძულებული დიდ ამალასთან ერთად გამგზავრებულიყო რუსეთში.

1725 წელს რუსეთში ჩასულმა ვახტანგ VI, რუსეთის დედოფალ–იმპერატორიცა ეკატერინე პირველისაგან რამდენიმე ხასიათის წყალობა მიიღო. მათ შორის, ერთ–ერთი ასე იკითხებოდა: “Сыну его царевичу Георгию при дворе быти ее величества соизволяют и предать на его волю, когда он похочет его прислать”, და გიორგი ვახტანგის ძეს ებოძა ძმათა შორის განსაკუთრებული პატივი სამეფო კართან ახლო ყოფნისა და პეტერბურგში ცხოვრებისა.

როგორც ჩანს პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ უფლისწულს აღზრდის კარგი პირობები უნდა ჰქონოდა. ამასაც უნდა შეეწყო ხელი იმაში, რომ შემდგომ წლებში მას ვხედავთ როგორც გამოჩენილ სამხედრო–საზღვაო მოღვაწეს, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იხსენიება გენერალ–მაიორის ჩინით.

1742 წელს „Санкт-Петербургские ведомости“–ით საზოგადოებას ეუწყა, რომ 4 ოქტომბერს, ქართველი უფლისწული გიორგი ვახტანგის ძე მშვიდობით დაბრუნდა ფინეთის კამპანიიდან (მახათაძე, 1967:36).

გიორგი ბატონიშვილის მონაწილეობაზე რუსეთ–შვეციის ომში ლაპარაკია მკვლევარ ნ. შპილევსკის წიგნში: „Описание войны между Россией и Швецией в Финландии в 1741-42 гг.“. გიორგი ბატონიშვილის სამხედრო–საზღვაო მოღვაწეობას ვრცლად ეხება ალ. ფირცხალაიშვილი წე-

რილში: „XVIII საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან“. როგორც მკვლევარი წერს, „1747-1748 წწ. ბატონიშვილი გიორგი ვახტანგის ძე მონაწილეობას ღებულობდა 30 ათასიანი დამხმარე კორპუსის ლაშქრობაში რეინზე. ამ ლაშქრობას სარდლობდა გენერალ – ანშეფი ვ. რეპნინი. გიორგი ვახტანგის ძეს დავალებული ჰქონდა მოეწყო საგალერო ფლოტი, რომლის მეთაურიც თვით იქნებოდა და რომლითაც იგი კრონშტანდტიდან მიტავაში (კურლანდია) გადასხამდა დამხმარე ხუთ პოლკს. პეტრე პირველის შემდეგ ნიჩბოსანი საგალერო ფლოტი მოძველდა და ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ გიორგი ვახტანგის ძემ იგი აღადგინა და სწრაფად მოაგვარა ჯარისკაცების გადასხმის საქმეც“ (ფირცხალაიშვილი, 1959:6).

ალ. ფირცხალაიშვილი განიხილავს გიორგი ბატონიშვილის მიერ გაგზავნილ პატაკებს სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში, რის საფუძველზეც ჩანს, რომ გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილი იყო სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნე, მამაცი მებრძოლი, თავის მეორე სამშობლოს დიდი პატრიოტი, ჯარისკაცებზე მზრუნველი და სხვა ღირსებით შემკული პიროვნება“.

1731 წლის 17 ივნისს, ვახტანგ VI–მ ოჯახისთვის შეადგინა ანდერძი, რომლის გამოცხადება გიორგი ბატონიშვილს ევალებოდა. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია რუსეთში მცხოვრები ქართველი მეფის ქონება.

ვახტანგ VI ხელისუფლებასა და ბეჭედს უანდერძებდა უფროსს ვაჟს, მეფე ბაქარს. უმცროს ვაჟს, გიორგი ბატონიშვილს უნდა გადასცემოდა დედის, დედოფალ რუსუდანის ძვირფასეულობა. სამეფო საქონელი ორ თანატოლ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. ერთი ნახევარი უნდა მიეღო გიორგი ბატონიშვილს, ხოლო მეორე – თანაბრად უნდა განაწილებულიყო ვახუშტი, მარიამ და პაატა ბატონიშვილებზე (სიხარულიძე, 1991:72).

ვახტანგ VI თავისი ხელფასიდან ხუთას–ხუთას მანეთს უმატებდა ვახუშტი და პაატა ბატონიშვილების შემოსავალს. ანდერძითვე გათვალისწინებული იყო მარიამ ბატონიშვილის პაპუნა ციციშვილის ვაჟზე (დიმიტრი) გათხოვება.

ვახტანგმა ყოველივე იღონა, რათა არავინ დარჩენილიყო უკმაყოფილო და თავის მემკვიდრეთა შორის უთანხმოება არ წარმოქმნილიყო, მაგრამ ბაქარსა და გიორგის შორის გვიან მაინც იჩინა თავი დავამ.

ვახტანგ VI–ის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის ქართული ახალშენისადმი რუსეთის საიმპერატორო კარის დამოკიდებულება შეიცვალა, რადგან პოლიტიკური მისია ამოწურულად მიიჩნიეს, დაიწყო ქართველ ემიგრანტთა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად გადაქცევის პროცესი.

იმავე პერიოდიდან დაიწყო გიორგი ბატონიშვილის დავა მეფე ბაქართან მამულისა და ქონების მეტი ნაწილის მისაღებად. გაღრმავდა მათი იდეური უთანხმოებაც.

1740 წელს გარდაიცვალა არჩილ მეფის ქალიშვილი დარეჯან (მარიამი) ბატონიშვილი. დარეჯან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისივე ანდერძით ქართველთა ახალშენები გაერთიანდა. ამ გაფართოებული დასახლების მეთაური ბაქარი გახდა. ახალმა ხელმძღვანელმა მჩქეფარე კულტურულ–სამეცნიერო მუშაობა გააჩაღა ახალშენში, მაგრამ იგი სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე, 1742 წლიდან, მას აქ უჩნდება მოზიარე უმცროსი ძმა– გიორგი (სიხარულიძე, 1991:73).

გიორგი ბატონიშვილის ასეთი პრეტენზიულობა მისმა წარმატებულმა სამხედრო კარიერამაც განსაზღვრა.

ვლადიმერ წვერავა
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორია–არქეოლოგიის დეპარტამენტი

გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1712-1786)

(მეორე ნაწილი)

1744 წლიდან მოკიდებული გიორგი ბატონიშვილი თანდათანობით აღწევს საწადელს. იგი ღებულობს წილს ნიჟნი–ნოვგოროდსა და სვესენსკას მამულებიდან. 1748 წელს კი მან საბოლოოდ განამტკიცა თავისი მდგომარეობა – მიიღო სასახლეები, ძვირფასეულობა და სხვა. ამის

შემდეგ ბაქარსაც დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი 1750 წელს გარდაიცვალა.

გიორგი ბატონიშვილმა მშენებლობა წამოიწყო. მის შემონაქმედთა შორისაა ქართველთა საერთო სალოცავის საფუძვლის ჩაყრა (პრესნიაზე).

1749 წლის ოქტომბერში გიორგი ბატონიშვილმა შეარჩია სალოცავის ასაშენებლად მოედანი და ოფიციალურად ითხოვა პრესნიაზე მთავარმოწამე წმინდა გიორგის სახელობის საყდრის აგებისა და სამღვდელოთმსახურო მოწყობილობებით მისი მორთვის ნებართვა.

1750 წლის 3 აპრილს კომისიამ მოიწონა პრესნიაზე მცხოვრებ ქართელთა საერთო ხის სალოცავის გეგმა, მოხატულობა, სამღვდელოთმსახურო საქონელი.

1750 წლის 23 აპრილს (კურთხევის შემდეგ) ქართველებს საერთო სალოცავი ოფიციალურად დაუმტკიცდათ. თვალსაჩინო ადგილას აშენებული ქართველთა ლამაზი საყდარი მალე გადაიქცა კულტურის მნიშვნელოვან კერად. შეწირულობებითა და სხვა შემოსავლებით იგი თანდათან ერთ–ერთი მდიდარი და აღიარებული სალოცავი გახდა მოსკოვში მცხოვრებ უცხოელთა საყდრებს შორის.

გიორგი ბატონიშვილის მმართველობის პერიოდში გაფართოვდა და დამშვენდა „სვესენწკაც“, დარგეს დეკორატიული მცენარეები, შეიქმნა დიდი და ლამაზი ბაღი, აიგო სასახლეები და სხვა. გიორგი ბატონიშვილის უნარიანი სამეურნეო საქმიანობის გვირგვინია სოფელი „გიორგიევსკოე“, რომელიც მან „სვესენწკას“ მახლობლად გააშენა (სიხარულიძე, 1991:74).

1785 წლის 12 მარტს საქართველოს უგანათლებულესმა გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილმა მოსკოვის უნივერსიტეტს აჩუქა 10.000 მანეთი, უნივერსიტეტმა საჯაროდ მადლობა გამოუცხადა გიორგი ბატონიშვილს. ამასთან აღუთქვა „ჩაენერგა მადლობის გრძნობა თავისი აღსაზრდელების გულში, რომლებიც მისგან დავალებული იქმნებიან განათლების ნაბოძვარით (ფირცხალაიშვილი, 1959:172).

ასეთი დიდი შეწირულობა XVIII საუკუნეში ძალიან იშვიათი იყო. მკვლევარი შევირიოვი, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი ნაშრომი გამოაქვეყნა, მასში მოგვითხრობს, რომ გიორგი

ბატონიშვილისადმი ინტერესი და პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა ამ ამბის შემდეგო.

გიორგი ბატონიშვილი ავად გამხდარა 1786 წლის 1 სექტემბერს და გარდაიცვალა იმავე წლის 19 დეკემბერს. „Московские ведомост“–ში გამოქვეყნდა ნეკროლოგი, სადაც ვკითხულობთ: „ვერც მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, ვერც მისმა სისუსტემ ვერ გასტეხა მისი სულიერი სიმტკიცე“. ნეკროლოგში აღწერილია გიორგი ვახტანგის ძის დასაფლავების ცერემონიალი, დაკრძალვა მოხდა მოსკოვში, დონის მონასტერში: „წინ მიდიოდა „კონვოი“, შემდეგ მრავალრიცხოვანი სამღვდელოება მოსკოვის ეპისკოპოსის პლატონის მეთაურობით, იქ იყვნენ არქიელები და არქიმანდრიტები, სამღვდელოების შემდეგ მოდიოდნენ ოფიცრები, რომელთაც ფარჩის ბალიშებით მოჰქონდათ განსვენებულის ორდენები, შტაბ–ოფიცერის დახმარებით მანტია და სხვა“.

გიორგი ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი – ვასილი, პრეობრაჟენსკის პოლკის პოდპორუჩიკი, გარდაიცვალა 1764 წლის 15 მაისს, 14 წლის, 8 თვისა და 19 დღის ასაკში“.

გენერალ–ანშეფის გიორგი ბატონიშვილის მეორე ვაჟი – იაკობი, ლეიბ–გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკი გარდაიცვალა 1768 წლის 10 იანვარს, 17 წლის, 8 თვის და 6 დღის ასაკში.

შვილების სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით (ვასილი, იაკობი), გიორგის მეუღლე რუსი ქალი უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქართველი (ფირცხალაიშვილი, 1959: 172).

საქართველოს უგანათლებულესი ბატონიშვილის გიორგის ქალიშვილი ანნა გიორგის ასული, გენერალ–მაიორისა და კავალერიის თავად ალექსანდრე ბორისის ძის გოლხცინის მეუღლე, გარდაიცვალა 1779 წელს, 25 წლის ასაკში.

1794 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა გენერალ მაიორი და კავალერი თავადი ალექსი ბორისის ძე გოლიცინი (60 წლის ასაკში). გიორგი ბატონიშვილის მეუღლე გარდაცვალებულთა სიაში არ არის ნახსენები.

საერთოდ უნდა ითქვას, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრებს, განსაკუთრებით ბაგრატიონთა გვარიშვილობას, დაუშრეტელი ენერგია აღმოაჩნდა. ამ კოლონიიდან გამოვიდნენ სხვადასხვა დარგის თვალსა-

ჩინო მოღვაწეები – პოლიტიკოსები და დიპლომატები, მეცნიერ–მწერლე-ბი, პოეტები და ხელოვანები, სამხედრო საქმის მცოდნენი, თავისი დროის მოწინავე მოღვაწენი და სხვ. თავისი დროის განათლებულ და მოწინავე ადამიანებად ისინი გვევლინებოდნენ არა მარტო XVIII, არამედ XIX საუკუნეშიც.

რაც შეეხება გიორგი ბატონიშვილს, იგი გვევლინება მამის, ვახტანგ VI–ისა და ძმის ბაქარის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის ქართული კო-ლონიის ფაქტობრივ მეთაურად. მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის მესვეურებთან, მატერიალურადაც ეხმარებო-და უნივერსიტეტს. მოსკოვში მის სახლში თავს იყრიდნენ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები. თანამედ-როვეთა ცნობით, გიორგი ბატონიშვილი საქართველოში მეცნიერების გავრცელების დიდად მოსურნე და ნივთიერი ხელშემწყობი ყოფილა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრეგაძე დ., ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, თბ., 1974
2. მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.), თბ., 1967
3. მახათაძე ნ., მეგობრობის ფურცლები, თბ., 1983
4. სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან. თბ., 1991
5. სიხარულიძე ფრ., ქართული კერის შექმნა მოსკოვში, ჟურ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში“, თბ., 1968
6. ფირცხალაიშვილი ალ., XVIII საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, „მნათობი“, თბ., 1959
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1979
8. Тарсаидзе Н., Историческеие этюды, Тб., 1972

რეზიუმე

მოსკოვის ქართული ახალშენი ადრევე იქცა ქართული კულტურისა და მეცნიერების მძლავრ კერად. ახალ ეპოქაში ქართველთა ამ ახალშენს კულტურის სფეროში თითქმის ისეთივე როლი დაეკისრა, როგორც ადრე ათონის მონასტერს (ბიზანტიის იმპერიაში).

რუსეთში მცხოვრებ ქართველებს დიდი დამსახურება მიუძღვით მშობელი ხალხის წინაშე სამწერლო, სამეცნიერო, საგამომცემლო, საგანმანათლებლო მოღვაწეობით. მათ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია მრავალმხრივი ხანგრძლივი მასშტაბური კვლევა–ძიებით გამოკვეთილი ახალი სამეცნიერო მიმართულებები კავკასიათმცოდნეობა და კერძოდ, მისი ერთ–ერთი ძირითადი ნაწილი – ქართველთმცოდნეობა.

ევროპელი მეცნიერები სწორად მიუთითებდნენ კავკასიათმცოდნეობის დაწინაურებაზე რუსეთში. ეს ძირითადად, ქართველ სწავლულთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დამსახურება იყო. ერთ–ერთი ასეთი გახლდათ გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილი, რომელიც დაიბადა 1712 წელს, იგი ვახტანგ VI-ს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად თან გაჰყვა რუსეთში, როდესაც ვახტანგი დიდი ამალით გაემგზავრა რუსეთს დიდი იმედებით.

გიორგი ბატონიშვილი რუსეთის საიმპერატორო კარზე მალე დაწინაურდა. შეისწავლა ფილოსოფია, ისტორია, სამხედრო ხელოვნება, წერდა ლექსებსაც. რუსეთ–შვეციის ომის დროს გიორგი ბატონიშვილს დაავალეს დამხმარე ფლოტის შექმნა, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. მან მონაწილეობა მიიღო რაინის კამპანიაში, სადაც ასევე გამოიჩინა თავი, როგორც უნარიანმა მეთაურმა. გიორგი ბატონიშვილი მონაწილეობას იღებდა ასევე შვიდწლიან ომში. რუსეთის მთავრობას შეუმჩნეველი არ დარჩენია გიორგი ბატონიშვილის ღვაწლი თითოეულ ომში და ის მრავალი მამულითა და ორდენით იქნა დაჯილდოებული. ვახტანგ VI–სა და ბაქარის გარდაცვალების შემდეგ იგი ხდება მოსკოვის ქართული კოლონიის ფაქტობრივი მეთაური, სადაც დიდია მისი ღვაწლი. 1785 წელს გიორგი ბატონიშვილმა 10.000 მანეთი შესწირა მოსკოვის უნივერსიტეტს. გიორგი ბატონიშვილის სახლში (მოსკოვში) თავს იყრიდნენ იმ დროის

მოწინავე ადამიანები და მსჯელობდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებზე, მეცნიერებაზე. გიორგი ბატონიშვილი ყოფილა საქართველოში მეცნიერების გავრცელების დიდად მოსურნე ხელშემწყობი. გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1786 წელს და დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

Владимир Цверава, профессор
Государственный университет Акакия Церетели

Георгий Вахтангович Батонишвили (1712-1786)

Резюме

Грузинский новопоселенцы в Москве с момента своего появления создали мощный очаг грузинской культуры и науки. На них в новую эпоху была возложена та же роль, что и на Атон в древности.

Грузины, проживающие в России, занимались писательской, научной, просвятительской деятельностью. Их большая заслуга состоит в том, что они выделили новое научное направление – кавказоведение, которое, в частности, включало в себя грузиноведение, как одну из главны частей.

Европейские учёные правильно указывали на возрастающуюся роль кавказоведения в России. И в этом свою значительную роль сыграли именно грузинские ученные и государственные деятели. Георгий Вахтангович Батонишвили принадлежал к числу таких деятелей. Родился он в 1712 году. В Россию Георгий последовал за царем Вахтангом VI и его семьей. Грузинский царь отправился в Россию, надеясь получить от русского правительства помощи.

В России Георгий изучал философию, историю, военное дело, писал стихи. Он стал быстро подвигаться вперед при императорском дворе. Во время русско-шведской войны Георгию Батонишвили поручили создание вспомогательного флота, и он блестяше справился с этим заданием. Георгий принимал участие в Рейнской компании, в котором отличился как умельый полководец в семилетней войне,. Его заслуга в каждой из этих

войн не осталась незаметной русским правительством, и Георгия наградили землями и орденами.

После смерти Вахтанга VI и Бакара Георгий Батонишвили фактически возглавил грузинскую колонию в Москве. В 1785 году Батонишвили пожертвовал Московскому университету 10 000 рублей. В его доме, в Москве, собирались передовые люди того времени и вели беседы на полезные для общества темы, о науке. Батонишвили всяческий способствовал распространению и развитию наук в Грузии. Георгий Вахтангович Батонишвили умер в 1786 году и похоронен в Москве, на территории Донского монастыря.

Vladimir Tsverava, professor
Akaki Tsereteli State University

Giorge Bagrationi (1712-1786)

Resume

Georgian Akhalshen in Moscow became a powerful centre of Georgian culture and science early on. In the new era, this new Georgian town has almost the same role in the field of culture as before Athos (in the Byzantine Empire).

Georgians living in Russia have brought great merit to their people through their writing, scientific, publishing and educational work. In their heritage, it is important, multifaceted long-term large-scale research – search - new scientific directions, Caucasian studies, and in particular, one of its main parts - Georgian studies.

European scientists rightly pointed to the advancement of Caucasian studies in Russia. This was mainly the merit of Georgian scholars and statesmen. George Vakhtangi's son Batonishvili was one of them, born in 1712. He accompanied Vakhtang VI to Russia with other family members.

George Batonishvili was promoted to the imperial court of Russia. He studied philosophy, history, military art and he also wrote poems. During the Russian-Swedish war, George Batonishvili was told to create an auxiliary fleet. He took part in the Rhine Campaign, where he also showed himself as a capable

commander. Giorge Batonishvili's also took part in the Seven Years' war, the Russian government didn't ignore George Batonishvili achievements in each war and he was awarded with many estates and orders. After the death of Vakhtang VI, Bakari became the de facto head of the Moscow - Georgian colony, where his merits are great. In 1785, George Batonishvili donated 10,000 manats to Moscow University. A lot of famous people of that time gathered at George Batonishvili's house and discussed important and useful issues. Giorge Batonishvili was a willing supporter of the spread of science in Georgia. George Batonishvili died in 1786 and is buried in the Don Monastery in Moscow.

ნატო ჟორჟოლიანი
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს თავისუფლების ლიგის შექმნის შესახებ

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წარმოქმნა უშუალოდაა დაკავშირებული ეროვნულ ინტელიგენციასთან, რომელიც 1890–იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ თაობის პირველი დიდი საქმე იყო ,,საქართველოს თავისუფლების ლიგის" შექმნა, რომელიც თავისი მიზნებით და შემადგენლობით ეროვნულ–დემოკრატიული ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა.

1890 წლების დამდეგს ვარშავის, პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების ბაზაზე და მათი გაერთიანების მიზნით შეიქმნა ფარული ეროვნულ–პოლიტიკური ორგანიზაცია: ,,საქარველოს თავისუფლების ლიგა". 1892 წლის 26-29 ივნისს ქუთაისში შედგა ,,თავისუფლების ლიგის" პირველი ყრილობა, ხოლო მეორე ყრილობა 1893 წლის ივლისში გაიმართა თბილისში. ორივე ყრილობაზე უმთავრესი ყურადღება ეროვნულ პრობლემებს მიეძღვნა. მეხუთე საკითხად პირველმა ყრილობამ განიხილა, როგორ ესმოდა ქართველ სტუდენტებს ეროვნული საკითხი და რამდენად ფიქრობდნენ მასზე. ყრილობამ სცადა გამომუშავებინა ერის განმარტება, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: ,,ერი არის სულიერი ერთობა ადამიანთა ჯგუფებისა, რომელთა საერთო ხვედრია მიზნის ერთობლიობა,

რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო ენით, ურთიერთსიყვარულით, ჩვევებით, თვისებებითა და წარსულით".

მეექვსე საკითხი ეხებოდა ქართველების და სომხების ერთობლივი ბრძოლის შესაძლებლობას საერთო მტრის წინააღმდეგ. ყრილობის უმრავლესობამ ეჭვი გამოთქვა ასეთი შესაძლებლობის შესახებ, რადგან, მათი აზრით, სომეხთა მთავარი საბრუნავი, რუსეთის მხარდაჭერით, თურქეთის ბატონობაში მოქცეული სომხური ტერიტორიების განთავისუფლება იყო. ქართველთა უპირველეს მიზანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. ამ საკითხზე ყრილობას გადაწყვეტილება არ მიუღია.

მეშვიდე საკითხის სახით ,,თავისუფლების ლიგის" ქუთაისის ყრილობას უნდა გაერკვია ,,როგორი პოზიცია უნდა დაეკავებინა ქართველ სტუდენტობას რუსეთის საქმეებისადმი". აქ იგულისხმებოდა რუსეთში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობისადმი ქართველობის დამოკიდებულება. დელეგატთა უმრავლესობამ უარყო რუსეთის მოძრაობაში ქართველების მონაწილეობის საჭიროება. ისინი მიუთითებდნენ, რომ ,,რუსებს არ უყვართ სხვა ეროვნების ხალხები და მათ შორის ქართველებიც. ამიტომ ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს მათთან და არც შეიძლება გვქონდეს. ,,კენჭი უყარეს წინადადებას, ,,რომელი უფრო სასარგებლო იქნება, რუსეთის ორგანიზაციებში მონაწილეობა, თუ პირიქით, სამშობლოში დამოუკიდებლად მუშაობა". ყრილობის ოცი მონაწილედან თხუთმეტმა რუსეთის მოძრაობაში ქარათველთა მონაწილეობის წინააღმდეგ მისცა ხმა. ,,ლიგის" პროგრამის შესავალ ნაწილში დახასიათებული იყო ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც საქართველო რუსეთის ბატონობის შედეგად ჩავარდა. გამოთქმული იყო იმედი, რომ უცხოელ დამპყრობთაგან არაერთხელ თავდახსნილი ქართველი ხალხი, ახლაც შესძლებდა ,,განვითარების დამოუკიდებელ გზაზე დადგომას".

,,ლიგა" კავკასიის ხალხთა ერთიანობის პოზიციაზე იდგა. ,,ლიგა" ითვალისწინებს კავკასიის სხვა ხალხთა მძიმე მდგომარეობას და სურვილს გამოთქვამს, რომ ამ ხალხებმაც მოიპოვონ ისეთი წყობილება, რომელიც შეეფერება მათ ზნე–ჩვეულებებს და რომელიც მოუტანდა მათ ბედნიერ ცხოვრებას. ამ მიზნის განხორციელებისათვის ,,ლიგა" ეცდება,

ყოველგვარი საშუალებით მიაღწიოს კავკასიის ხალხთა ერთად დარაზ-მულობას, რათა ერთიანი ძალით იბრძოლონ საერთო მტრის წინააღმდეგ, ვინც არ უნდა იყოს იგი. ერთი სიტყვით, ,,ლიგა" უსურვებს კავკასიის ხალხებს მოიპოვონ დამოუკიდებლობა და გაერთიანებდნენ ერთ ფედე-რაციაში.

,,ლიგისათვის" უმთავრესს საქართველოს დამოუკიდებლობა წარ-მოადგენდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად კავკასიის, ასევე დამოუკიდებელ ქვეყანათა ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. არც რუსეთი იყო ნახსენები სადმე. ,,ლიგა" თავისუფალი იყო ყალბი ფსევდო–სოციალისტური ინტერნაციონალიზმისაგან და წმინდა ეროვ-ნულ ნიადაგზე იდგა.

,,თავისუფლების ლიგის" წევრთა უმრავლესობასაც ეროვნულ–დე-მოკრატიულად განწყობილი ქართველი სტუდენტი–ახალგაზრდობა წარ-მოადგენდა. შემდგომში ,,ლიგის" წევრებმა შეავსეს ჯერ ,,ცნობის ფურ-ცლის" რადიკალური ეროვნულ–დემოკრატიული ჯგუფის, ხოლო კიდევ უფრო გვიან, ერთი მხრივ, ფედერალისტთა და, მეორე მხრივ, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიების რიგები. ,,თავისუფლების ლიგის" წევრები იყვნენ შემდგომში ცნობილი ფედერალისტები, გიორგი დეკანოზიშვილი, თედო სახოკია, გრიგოლ რცხილაძე, შიო დედაბრიშვილი.

საქართველოს ,,თავისუფლების ლიგის" არც მიზანდასახულებაში, არც ხასიათში და არც შემადგებლობაში არაფერი იყო ,,რაზნოჩინული", ,,ხალხოსნური" და მით უფრო ,,სოციალ–დემოკრატიული მოძრაობისაკენ მიმავალი" ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი რამ. ,,ლიგა იყო XIX–ს–ის 90-იანი წლების თაობის პირველი ეროვნულ–დემოკრატიული სტუ-დენტურ–პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში. ლიგა იდეურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული XX–ის დასაწყისში წარმოქმნილ ეროვ-ნულ–პოლიტიკურ ჯერ მიმდინარეობებთან, შემდეგ კი პარტიებთან, გან-საკუთრებით ეროვნულ–დემოკრატიულ პარტიასთან, შეიძლება ითქვას, ,,თავისუფლების ლიგამ" საფუძველი ჩაუყარა 90-იანი წლების ეროვნულ–დემოკრატიულ მოძრაობას. 1893 წლის მეორე ნახევარში ,,თავისუფლების ლიგა" ხელისუფლებამ გაანადგურა. მიუხედავად ამისა, ამას არ მოჰ-ყოლია ეროვნულ–დემოკრატიული მოძრაობის გაქრობა. მან პუბლიცის-

კიკაში განაგრძო სიცოცხლე. ,,ლიგის" ტრადიცია გააგრძელა ჟურნალ ,,მოამბის პროგრესულმა ბურჟუაზიულ–ეროვნულმა პუბლისცისტიკამ, შემდგომში კი, ეროვნულ–დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენლებმა, მემარჯვენე ფრთა შეადგინეს ჯერ ,,ცნობის ფურცლის" ჯგუფში, შემდეგ კი ქართველ ფედერალისტთა პარტიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაქარია შველიძე –რევოლუციური ორგანიზაცია ,,თავისუფლების ლიგა". თბ.1969
2. გ. გვაზავა – საქართველო და ეროვნულ–დემოკრატიული პარტია. გაზ. ,,კომუნისტი". 1991წ. 16/09 პუბლიკაცია მოამზადა ნესტან კირთაძემ.
3. დიმიტრი შველიძე – პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. თბ. 1995

ნატო ჟორჟოლიანი

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი

საქართველოს თავისუფლების ლიგის შექმნის შესახებ

რეზიუმე

ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წარმოქმნა უშუალოდაა დაკავშირებული ეროვნულ ინტელიგენციასთან, რომელიც 1890–იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ თაობის პირველი დიდი საქმე იყო ,,საქართველოს თავისუფლების ლიგის" შექმნა, რომელიც თავისი მიზნებით და შემადგენლობით ეროვნულ–დემოკრატიული ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ დემოკრატიული პარტია, თავისუფლების ლიგა

Нато Жоржолиани
Академик Академии наук туризма Грузии.

О создании Лиги свободы Грузии

Резюме

Создание Национал-демократической партии напрямую связано с национальной интеллигенцией, вышедшей на политическую арену в начале 1890-х годов. Первым большим делом этого поколения стало создание «Лиги свободы Грузии», которая по своим целям и составу представляла собой национально-демократическую организацию.

Ключевые слова: Национально-демократическая партия, Лига свободы.

Nato Zhorzholiani
Academician of the Academy of Tourism Scientists of Georgia

About the creation of the Freedom League of Georgia

Summary

The creation of the National-Democratic Party is directly related to the national intelligentsia, which entered the political arena in the early 1890s. The first big thing of this generation was the creation of the "League of Freedom of Georgia", which represented a national-democratic organization with its goals and composition.

Keywords: National Democratic Party, Freedom League

Джусупова Д.Б
доктор биологических наук, профессор
Казахский национальный педагогический университет им. Абая,
Республика Казахстан, г. Алматы

АЛЬТЕРНАТИВНАЯ ЭНЕРГЕТИКА – ЭНЕРГИЯ БУДУЩЕГО ДЛЯ КАЗАХСТАНА

В последнее время всё острее встаёт проблема нехватки природных ресурсов, в особенности, энергетических. Хотя в настоящее время нехватка энергетических ресурсов почти не ощутима, данная проблема требует немедленного рассмотрения и решения, так как большинство таких ресурсов невозобновляемы, а запасы их весьма невелики. От того, насколько быстро и качественно будет решена данная проблема зависит, сможет ли человечество в ближайшие 100 –150 лет стабильно получать тепло и свет, то есть те минимальные удобства, без которых современные люди попросту не смогут выжить.

Доказано, что с ростом уровня жизни увеличивается количество необходимой человеку энергии. Любая деятельность, независимо от её природы, предполагает использование энергии.

Следует ожидать, в ближайшие десятилетия, дальнейший рост потребностей в самых разнообразных энергетических ресурсах. При оценке их запасов важно различать две большие группы ресурсов – невозобновимые и возобновимые. Первые практически не восполняют, и их количество неуклонно уменьшается по мере использования. Сюда относятся минеральные и земляные ресурсы. Возобновимые ресурсы либо способны к самовоспроизведению (биологические), либо непрерывно поступают к Земле извне (солнечная энергия), либо, находятся в непрерывном круговороте и могут использоваться повторно (вода). Возобновляемые ресурсы - природные ресурсы, запасы которых или восстанавливаются быстрее, чем используются, или не зависят от того, используются они или нет.

Большинство развивающихся стран не имеет ни крупных запасов нефти (кроме нескольких стран - экспортёров), ни газа, ни угля и находятся в зависимости от импорта этих энергоресурсов. В наименее же развитых странах потребности в энергетических ресурсах покрываются за счёт дров и других видов биомассы, используемых в качестве топлива (солома, сухой навоз и др.). Энергетическая ситуация, складывающаяся в результате сохранения этой тенденции, оборачивается для многих стран «третьего мира» сложными экологическими проблемами (в том числе уничтожением лесов). Кроме того, и сам угольный топливно-энергетический цикл – один из экологически наиболее опасных. Поэтому, в современном мире были открыты большие потенциальные возможности нетрадиционных возобновляемых источников энергии (НВИЭ), или «альтернативных» источников энергии, за счёт которых пока ещё удовлетворяется весьма незначительная часть мировых энергетических потребностей.

Альтернативные источники энергии (АИЭ) - это природные явления, которые путем преобразования в специальных установках превращаются в тепловую или электрическую энергию.

К ним относятся энергия солнца, ветра, геотермальных источников, воды, приливов и отливов. Однако нельзя не отметить расширение их использования.

К альтернативной энергетике относят также получение тепла в процессе сжигания возобновляемого топлива - биогаза, биоэтанола и др.

К основным причинам, побуждающих к переходу на АЭИ относятся следующие [1]:

- **глобально-экологическая.** Применение традиционных энергодобывающих технологий ведет мир к глобальной экологической катастрофе. Одно из таких последствий – изменение климата, которое длится уже несколько лет.
- **политическая**. Страна, освоившая АЭИ первой, сможет диктовать цены на топливные ресурсы.
- **экономическая**. Переход на нетрадиционные энергетические технологии даст возможность перераспределить топливные ресурсы для развития про-

мышленности. Стоимость альтернативной энергии значительно ниже, чем электроэнергии, получаемой из традиционных источников.

- **Социальная.** С ростом численности населения становится сложным найти место для строительства АЭС и ГРЭС, которое было бы безопасным для окружающих. Исследования показали, что у населения, проживающего неподалёку от таких станций, подтвержден больший процент онкологических и других тяжелых заболеваний.

- **Эволюционно-историческая**. Объем топливных ресурсов ограничен, биосфера и атмосфера страдают от их использования. Эти факторы тормозят процесс эволюции человечества. Переход на альтернативные источники энергии будет толчком к новому этапу развития.

Рассмотрим некоторые виды чистой энергии.

Солнечная энергия. Гелиоустановки используют энергию солнца для потребностей теплоснабжения и для производства электричества. Способов преобразования солнечного излучения существует множество. Оптимальным и наиболее распространенным считают метод, основанный на использовании фотоэлектрических преобразователей. Такие фотоэлементы объединяют в солнечные батареи.

Преимущества:

- возобновляемый источник;
- бесшумная работа;
- экологически чистое преобразование солнечного излучения в другие виды энергии.

Недостатки:

- привязанность интенсивности излучения Солнца к сезонам и времени суток;
- строительство солнечных электростанций занимает большие территории;
- использование токсичных соединений при создании фотоэлектрических элементов, что приводит к проблеме их утилизации.
- высокая стоимость оборудования для гелиоустановок

Энергия ветра.

Запасов энергии ветра в 100 раз больше запасов энергии всех рек на планете. Ветровые станции помогают преобразовывать ветер в электрическую, тепловую и механическую энергию. Главное оборудование – ветрогенераторы (для образования электричества) и ветровые мельницы (для механической энергии). Ветер обеспечивает 6% мировых потребностей в электроэнергии.

Лучшее место для размещения ветряной турбины - это вершины округлых холмов, открытые равнины (или открытая вода для прибрежного ветра) и горные перевалы, через которые ветер проходит естественным путем. Чем выше высота над уровнем моря, тем лучше, поскольку на более высоких участках обычно ветер сильнее. Ветроэнергетика ежегодно растет на 10% и является основной частью большинства планов по борьбе с изменением климата и обеспечению устойчивого роста в различных странах, включая Китай, Индию, Германию и США.

Преимущества

- неисчерпаемость энергии;
- не наносит вред окружающей среде.

Недостатки:

- отдельный ветрогенератор обладает слабой мощностью;
- переменчивость силы ветра;
- шум, производимый ветрогенераторами, нарушает перелеты птиц и насекомых;
- поблизости от таких станций возникают помехи в радиоволнах и работе военных.

В структуру гидроэнергетики, использующей энергию водных ресурсов, входят гидроэлектростанции, малые гидроэлектростанции, приливные электростанции, волновые электростанции. Для работы гидроэлектростанций необходимо сооружение плотины и водохранилища, что гарантирует обеспеченность водой. Эксплуатация гидроэлектростанций не загрязняет природную среду.

«Зеленые» инновации Республики Казахстан

На современном этапе развития экономики Казахстана изучение энергетической проблемы является актуальным, несмотря на то, что страна обладает крупными запасами углеводородов [2]. Но дешевая электроэнергия рано или поздно закончится, поэтому вопрос об альтернативных способах получения электроэнергии стоит перед государством уже сейчас.

Для территории Казахстана наиболее перспективны следующие виды возобновляемых источников энергии: ветроэнергетика; малые гидроэлектростанции; солнечные установки для производств тепловой и электрической энергии. Одним из наиболее развивающихся видов возобновляемых источников энергии в мире выступает ветроэнергетика.

С географической и метеорологической точки зрения Казахстан является благоприятной страной для крупномасштабного использования ветроэнергетики. Казахстан располагает немалым потенциалом возобновляемых источников энергии, при этом ветро – и гидроэнергетика считаются наиболее перспективными для инвестиций.

По ресурсам ветра Республика находится на третьем месте в СНГ, уступая лишь России и Таджикистану. Общий ветроэнергетический потенциал оценивается примерно в 920 млрд кВт ч, а весь потенциал альтернативных источников энергии приближается к 1 трлн кВт ч, и вполне логично, что государство стремиться сделать это направление приоритетной сферой своей технологической и индустриальной политики.

В целях поддержки использования возобновляемых источников энергии 4 июля 2009 года был принят Закон Республики Казахстан «О поддержке использования возобновляемых источников энергии».

Таким образом, развитие альтернативных способов получения электроэнергии со временем может решить проблемы электроэнергии и расширить электроэнергетическую отрасль в Казахстане.

Литература

1. Л. М. Куликов. Основы экономической теории: учебное пособие. – М.: «Финансы и статистика», 2003.
2. Перспективы энергетики Казахстана в свете мировых тенденции энергетического развития. - [Электронный ресурс].- Режим доступа: - http:///article/8806.

ჯუსუპოვა დ.ბ.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყაზახეთის აბაის სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი.

ყაზახეთის რესპუბლიკა, ქ. ალმატი

ალტერნატიული ენერგია – მომავლის ენერგია ყაზახეთისთვის

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ალტერნატიული ენერგიის რამდენიმე სახეობა და ნაჩვენებია ყაზახეთში მისი გამოყენების პერსპექტივები.

АЛЬТЕРНАТИВНАЯ ЭНЕРГЕТИКА – ЭНЕРГИЯ БУДУЩЕГО ДЛЯ КАЗАХСТАНА

Джусупова Д.Б

доктор биологических наук, профессор

Казахский национальный педагогический университет им. Абая,

Республика Казахстан, г. Алматы

Анотация. В статье рассмотрены некоторые виды альтернативной энергии и показана перспектива ее использования в Казахстане.

ALTERNATIVE ENERGY – THE ENERGY OF THE FUTURE FOR KAZAKHSTAN

Jussupova Dariya
doctor of Biological Sciences, professor
Abai Kazakh National Pedagogical University,
Republic of Kazakhstan, Almaty

Abstract. The article discusses some types of alternative energy and shows the perspectives for its use in Kazakhstan.

МЕЖДУНАРОДНОЕ СОТРУДНИЧЕСТВО ДЛЯ РЕШЕНИЯ ПРОБЛЕМ АРАЛЬСКОГО МОРЯ

Джусупова Д.Б[1].,Муминова Р.Н.,[2] Абдиманапова Г.С[3].

[1]Д.б.н., профессор Казахского национального педагогического университета им. Абая, Алматы, Казахстан

[2]К.б.н., доцент Кокандского государственного педагогического института им. Мукими, Коканд, Узбекистан

3. Преподаватель высшей категории Алматинского колледжа строительства и менеджмента, Алматы, Казахстан

Аннотация:

В статье дана историческая справка о Международном Фонде спасения Арала, его миссия и стратегия деятельности, рассмотрены основные направления деятельности Фонда со дня его основания и до сегодняшнего времени. Отмечена роль Казахстана и Узбекистана в совместных действиях по решению проблемы Аральского моря и Приаралья.

Ключевые слова*:* Международный фонд, Аральское море, деятельность Фонда, экология, страны Центральной Азии.

Аральское море — бессточное солёное озеро в Средней Азии, на границе Казахстана и Узбекистана. С 1960-х годов XX века уровень моря (и объём воды в нём) быстро снижается вследствие забора воды из основных питающих рек Амударья и Сырдарья. До начала обмеления Аральское море было четвёртым по величине озером в мире. Чрезмерный забор воды для полива сельскохозяйственных угодий превратил четвертое в мире по величине озеро-море, прежде богатое жизнью, в бесплодную пустыню. То, что происходит с Аральским морем – настоящая экологическая катастрофа (Рис.1).

Возрождение экосистемы Арала – это сложный и трудный процесс, требующий большого количества финансов и государственного контроля. Именно для этого, в 1993 году в целях устранения экологического кризиса и улучшения социально-экономической ситуации в бассейне Аральского моря, главами пяти государств - Узбекистана, Казахстана, Киргизии, Таджикистана и Туркменистана был учрежден Международный фонд спасения Арала (МФСА).

Государства-учредители поочередно председательствуют в Фонде в течение трех лет. Глава председательствующей страны избирается Президентом Международного фонда спасения Арала. Фонд возглавляют

поочередно Президенты государств Центральной Азии, избираемые по первоначальным решениям на один год, а с 1997 года - на 2 года. Первым Президентом Фонда был избран Президент Республики Казахстан Н.Назарбаев, затем Президент Республики Узбекистан И. Каримов и т.д. В настоящее время Президентом Фонда является Президент Таджикистана И. Рахмон.

Основной задачей МФСА является финансирование и кредитование совместных практических действий и перспективных программ и проектов спасения Арала, экологического оздоровления Приаралья и бассейна Аральского моря в целом с учетом интересов всех государств региона.

На первой встрече Президентов (26 марта 1993г., г. Кызыл-Орда) было подписано Соглашение «О совместных действиях по решению проблемы Аральского моря и Приаралья, экологическому оздоровлению и обеспечению социально-экономического развития Аральского региона». Утверждено Положение о МФСА, образовано Правление Фонда в составе 10 человек (по два представителя от каждого государства) и принято решение об избрании Назарбаева Н.А. Президентом Международного Фонда спасения Арала.

Одновременно с Фондом был образован Межгосударственный Совет по проблемам бассейна Аральского моря (МГСА), численностью по 5 представителей от каждого государства, с базированием Исполнительного комитета (ИК МГСА) в г. Ташкенте. При МГСА были образованы Комиссия по устойчивому развитию (КУР) и Межгосударственная координационная водохозяйственная комиссия (МКВК).

Первое рабочее заседание МГСА проведено 13 июля 1993 года в г. Ташкенте, на котором одобрены «Основные положения концепции государств Центральной Азии по решению проблем Арала и бассейна Аральского моря с учетом социально-экономического развития региона».

Второе заседание МГСА состоялось одновременно со встречей Президентов государств Центральной Азии в г. Нукусе 11 января 1994 года, на которой:

• утверждена «Программа конкретных действий по улучшению экологической обстановки в бассейне Аральского моря на ближайшие 3-5 лет с учетом социально-экономического развития региона»;
• рассмотрен вопрос формирования средств МФСА.

Основными направлениями деятельности Фонда являются:

- финансирование и кредитование совместных межгосударственных экологических и научно-практических программ и проектов, направленных на спасение Аральского моря и оздоровление экологической обстановки в районах, подвергшихся влиянию Аральской катастрофы, а также решение общих социально-экологических проблем региона;
- финансирование совместных фундаментальных и прикладных исследований, научно-технических разработок по восстановлению экологического равновесия, рациональному использованию природных ресурсов и охране окружающей среды;
- создание и обеспечение функционирования межгосударственной экологической системы мониторинга, банка данных и других систем о состоянии окружающей природной среды Аральского бассейна;
- мобилизация средств на проведение совместных мероприятий по охране воздушного бассейна, водных и земельных ресурсов, растительного и животного мира;
- финансирование совместных научно-технических проектов и разработок по управлению трансграничными внутренними водами;
- участие в реализации международных программ и проектов по спасению Арала и экологическому оздоровлению Аральского бассейна.

Агентство GEF Международного Фонда спасения Арала по управлению реализацией проектов бассейна Аральского моря было создано Исполкомом МФСА по инициативе Республики Узбекистан и одобрено решением Президента МФСА, Президента Республики Узбекистан И.А. Каримова от 12 мая 1998 года. Агентство призвано привлекать внимание международных организаций, стран-доноров, общественности к решению проблем бассейна Аральского моря.

10-11 марта 2008 года в г. Ташкенте состоялась международная конференция «Проблемы Арала, их влияние на генофонд населения, растительный и животный мир и меры международного сотрудничества по смягчению их последствий», организованная по инициативе Президента Республики Узбекистан И.А. Каримова и поддержанная правительством республики, рядом международных организаций, аккредитованных в Узбекистане. На конференции была принята Ташкентская декларация, которая дала новый импульс в активизации решений проблем Приаралья в регионе. Странами-донорами были представлены конкретные проекты и предложения для реализации сотрудничества.

В октябре 2008г. МФСА был предоставлен статус наблюдателя в Генеральной Ассамблее ООН.

После перехода председательства в МФСА в Казахстан в ноябре 2008г. состоялась передислокация Исполкома в г. Алматы.

Миссией Исполкома Международного Фонда спасения Арала в Республике Казахстан является:

- обеспечение практической реализации решений Совета Глав Государств Центральной Азии, Президента Фонда и Правления МФСА по проблемам бассейна Аральского моря, касающихся Республики Казахстан и в соответствии с поручениями Исполкома МФСА;

- реализация проектов и программ бассейна Аральского моря. На сегодняшний день на рассмотрение МФСА и правительств стран региона представлено 72 проекта. На стадии реализации находятся 12 из них. Первые шаги еще в 1992 году сделал Казахстан. Тогда была возведена насыпная дамба, благодаря которой Арал разделился на Большой и Малый, что позволило наполнить водой Сырдарьи Малый Арал, снизить минерализацию и частично восстановить рыбный промысел.

- аккумулирование финансовых и других средств и обеспечение их целевого использования;

-содействие в работе Межгосударственной Координационной водохозяйственной Комиссии и Комиссии по Устойчивому развитию;

- подготовка материалов к проведению заседаний Правления Фонда и Исполкома МФСА.

28 апреля 2009 г. в г. Алматы проведен саммит Глав государств Центральной Азии по проблемам бассейна Аральского моря. По итогам встречи принято Совместное заявление Глав государств - учредителей Международного Фонда спасения Арала. В указанном заявлении Исполкому МФСА, совместно с МКВК, МКУР с привлечением национальных экспертов и доноров, было поручено разработать Программу действий по оказанию помощи странам бассейна Аральского моря на период 2011-2015 годы для последующего рассмотрения и утверждения ее государствами-учредителями МФСА.

Следует отметить, что за указанный период был накоплен определенный опыт, в том числе сотрудничества и совместной работы с международными организациями на основе международных стандартов: в вопросах анализа, закупок, реализации, мониторинга. Достигнуто взаимное доверие, сохранены принципы к достижению консенсуса в решении проблем Аральского бассейна. Так, например, Нукусский филиал МФСА реализовал наиболее крупные и переходящие проекты в Приаралье, такие как:

- организация Центра диагностики и лечения мочекаменных и желчекаменных болезней (г. Нукус);

- «Создание локальных водоемов в дельте реки Амударья» - проект, направленный на оздоровление экологической обстановки, обеспечение инженерного регулирования водной системы, восстановление биоразнообразия и повышения естественной продуктивности биоресурсов Приаралья;

- проекты лесопосадок на осушенном дне Аральского моря – реализация проектов обеспечивает фиксацию барханных песков, уменьшает соле-, пыле-перенос ядовитых аэрозолей;

- проект «Безопасность плотин» – большинство водохранилищных гидроузлов построено в республике 30 и более лет назад и представляет антропогенную опасность для населения и экономики районов, расположе-

нных ниже плотины. В рамках проекта сооружения оснащаются контрольно-измерительной аппаратурой за состоянием сооружений, системой раннего оповещения в случае аварии;

- организация социального содействия населению – представление мини-займов населению с целью создания новых рабочих мест, повышения уровня жизни населения Приаралья, оставшихся без традиционных видов деятельности.

В настоящее время работа МФСА по спасению Арала продолжается. Вот последние данные: 26 сентября 2023 года в офисе Исполнительной Дирекции МФСА в Казахстане прошла встреча с представителями программы Посольства Японии в РК «Корни и травы», на которой была отмечена важность работы по вопросам реализации социальных и экологических проектов в Приаралье. Руководитель программы указал на важность работы, которую проводит ИД МФСА по посадкам саксаула и пилотированию закрытой корневой системы. Кроме того, он выразил заинтересованность в продолжении проекта по лесозащитной полосе в п. Аралкум.

Для активизации действий по воде для устойчивого развития представители МФСА в РК приняли участие в Водной конференции ООН в Нью-Йорке 22-24 марта 2023, повестка дня которой объединила многие страны мира, предоставив им решающую возможность для активизации деятельности по эффективному использования воды.

Вопросы качества водных систем поднимались Президентом Узбекистана Ш. Мирзиеевым во время встречи в Астане с Президентом К-Ж. Токаевым. Сегодня проблемы Аральского моря активно освещаются также в СМИ и научных кругах, поэтому существенно увеличиваются шансы на возрождение экосистемы Аральского моря. Важно создать единую водную стратегию и подписать четырехсторонее соглашение между государствами ЦА и Казахстаном, что позволили бы поэтапно прийти к единой цели.

Эти действия дают надежду, что Арал будет возвращен к жизни.

Список использованной литературы

Аральское море - введение в проблему//Наука и жизнь. - 2002. - № 12

https://cur.fedcdo.ru/wp-content/uploads/2021/09/Aral-Sea.-Can-it-be-saved_-Bakirov-M..pdf

1) http://cawater-info.net/review/pdf/ifas-history.pdf

2)https://www.osce.org/files/f/documents/9/3/75577.pdf (статья)

3) https://vlast.kz/clique/20106-kak-spasali-aral.html

4) https://kazaral.org/o-nas/

5)https://uzbekistanfaq.ru/aralskoe-more-segodnya/

INTERNATIONAL COOPERATION TO SOLUTION THE PROBLEMS OF THE ARAL SEA

Jussupova D.B[1]., Muminova R.N.,[2]Abdimanapova G.S.[3]

[1]Doctor of Biological Sciences, professor of the Abai Kazakh National Pedagogical University,

Kazakhstan, Almaty

[2]K.в.Sc., Associate Professor, Kokand State Pedagogical Institute named afterMukimi, Kokand, Uzbekistan

[3]Teacher of the highest category at Almaty College construction and management, Almaty, Kazakhstan

Abstract

The article provides historical information about the International Fund for saving the Aral Sea, its mission and strategy, and examines the main directions of the Fund's activities from the day of its foundation to the present day. The role of Kazakhstan and Uzbekistan in joint actions to solve the problem of the Aral Sea and the Aral Sea region was noted.

Key words: International Fund, Aral Sea, Fund activities, ecology, Central Asian countries.

ჯუსუპოვა დ.ბ, მუმინოვა რ.ნ, აბდიმანაპოვა გ.ს.
პროფესორი აბაის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო ეროვნული
პედაგოგიური უნივერსიტეტი, ალმატი, ყაზახეთი
კოკანდის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასოცირებული
პროფესორი
მუკიმი, კოკანდი, უზბეკეთი
ალმატის კოლეჯის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი
მშენებლობა და მართვა, ალმატი, ყაზახეთი

საერთაშორისო თანამშრომლობა არალის ზღვის პრობლემების გადასაჭრელად

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ისტორიული ინფორმაცია არალის ზღვის გადარჩენის საერთაშორისო ფონდის, მისიისა და სტრატეგიის შესახებ და განხილულია ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები დაარსების დღიდან დღემდე. აღინიშნა ყაზახეთისა და უზბეკეთის როლი ერთობლივ ქმედებებში არალის ზღვისა და არალის ზღვის რეგიონის პრობლემის გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ფონდი, არალის ზღვა, ფონდის საქმიანობა, ეკოლოგია, ცენტრალური აზიის ქვეყნები.

ედიშერ ცხადაძე
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

შვეიცარიის მეირინგენი და რეიხენბახის ჩანჩქერი

(ტურისტის ჩანაწერები)

შვეიცარიის პატარა ქალაქი მეირინგენი არაფრით გამოირჩევა მეზობელი ქალაქებისგან არც ისტორიით, არც არქიტექტურით და ლანდშაფტებით, თუმცა ტურისტულ სამყაროში საკმაოდ ცნობილია. ამ ცნობადობის საფუძველი კი არამატერიალური სიმდიდრეა, რაც ადგილობრივმა ენთუზიასტებმა აიტაცეს, განავითარეს და ქალაქის ცხოვრება საინტერესო და შემოსავლიანი გახადეს. გავარკვიოთ, რაშია საქმე... წარ-

მოვიდგინოთ საღამოს ოჯახური იდილია - ქმარი დეტექტიური ჟანრის კლასიკით - კონან-დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლის“ კითხვითაა გართული, ცოლი კი სამზარეულოში ტორტის მოსართავად ჰაეროვან ბეზეებს აცხობს. შეიძლება ამ ორ საქმიანობას ჰქონდეს რაიმე საერთო, დამაკავშირებელი ერთმანეთთან? ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ არსებობს! და ესაა შვეიცარიის პატარა ქალაქი მეირინგენი!

„ჰოლმსის უკანასკნელი საქმე“ - ასე ეწოდება კონან-დოილის მოთხრობას, სადაც დეტექტივი „იღუპება“ შვეიცარიაში, რეიხენბახის ჩანჩქერის კასკადებში (თუმცა შემდგომში ისევ გამოჩნდება მკითხველთა დაჟინებული მოთხოვნის გამო...). ეს ჩანჩქერი კი რეალურად არსებობს და იგი სწორედ პატარა ქალაქ მეირინგენთანაა.

ასე რომ აჯობებს ეს მოთხრობა მოგზაურობის წინ გადავიკითხოთ.

ჩვენი ექსკურსიაც ამ ლიტერატურული გმირის ნაკვალევის გაცნობის საბაბით დაიგეგმა. მარშრუტი მეირინგენამდე სატელიტურმა ნავიგატორით დავაზუსტეთ და გავყევით ამ უახლესი ტექნოლოგიით მითითებულ გზას. შვეიცარიის ჩქაროსნულ გზებზე ძალიან მარტივია ორიენტაცია ნავიგატორის გარეშეც - მიმანიშნებელი დაფები დაბნევის საშუალებას არ იძლევა.

ნავიგატორმა ბევრი აღმართ-დაღმართი გადაგვატარა, ლამაზი ხედები გარშემო სულ უფრო მშვენდებოდა. ყველის მწარმოებელ ქვეყანაში რა გასაკვირია, რომ ბალახი დიდ პატივშია. ასე საგულდაგულოდ გათიბული მინდვრები ჩვენთან ალბათ მარტო ფეხბურთის სტადიონებზეა. ან ხომ არ გგონიათ იპოვოთ საძოვრებად ქცეულ ფერდობებზე მინდორში ველურად ამოსული ბუჩქი თუ ეკლიანი ბარდი. მეირინგენისკენ გზა ალპურ ხეობას მიუყვება, რომელსაც გარშემო ლამაზი ტბები და მაღალი მთებიდან მომჩქეფარე ვიწრო ჩანჩქერები ალამაზებს.

მეირინგენში მანქანის დაყენება უპრობლემოდ მოვახერხეთ და შევუდექით ისტორიულ-ლიტერატურულ-ტურისტული პროგრამის განხორციელებას. ქალაქში მატარებლის ხაზიც შემოდის, ასე რომ არაა აუცილებელი მანქანის დაქირავება, თუმცა ექსკურსიის მოქნილობისათვის აჯობებს მეტი თავისუფლება შევიქმნათ.

გასაგებია, რომ შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი ვატსონი მხოლოდ ლიტერატურული გმირებია, მაგრამ სეირნობის დროს ძნელი დასაჯერებელია, რომ არავითარი ისტორიული საფუძველი არ არსებობს! მწერალი არტურ კონან-დოილი მეირინგენში რამდენჯერმე ყოფილა დასასვენებლად ჩამოსული, ჩანჩქერის მიდამოებს კარგად იცნობდა და მოთხრობაში მოყვანილი გარემოს აღწერა სრულად შეესაბამება ადგილობრივ ბუნებას.

შერლოკ ჰოლმსის „სულის ტრიალი“ ქალაქში ყველგან იგრძნობა. ტურისტული ბიზნესი ამ მიმართულებით არის ორიენტირებული, რაც პირველ რიგში სუვენირებში აისახება. აბა, თამბაქოს მოყვარულები აქედან დაგრეხილი ჩიბუხის გარეშე ხომ ვერ წავლენ (ისე, არ შემიმჩნევია მაღაზიებში, მაგრამ ალბათ ვიოლინოები რომ გაეყიდათ, ეყოლებოდათ მყიდველი). სასტუმროების სახელებიც მიიქცევს ყურადღებას - „შერლოკ ჰოლმსი“, „ბეიკერ-სტრიტი“...

პატარა ეკლესიის ქვედა სართული ჰოლმსის მუზეუმს აქვს დათმობილი. წიგნის მიხედვით გაწყობილ ოთახში მინის კედელს მიღმა დაკვირვებული მკითხველ-მოგზაური უეჭველად ამოიცნობს ბეიკერ-სტრიტის ბინის მისაღებ ოთახს. ბუხარი იქვე სავარძლებით, ვიოლინო, გაპრიალებული ყავადანი, ცილინდრი და ხელთათმანები, პენსნე, ბინოკლი, აბაჟურიანი მაგიდის ლამპა, გაშლილი გაზეთები - ეს ყველაფერი ლიტერატურული გმირების ეპოქაში გადაგვიყვანს. მუზეუმის შემქმნელებს კონან-დოილის მიერ ნაწარმოებში მოხსენიებული მრავალი დეტალი „გაუცოცხლებიათ“. აქვე, ფოიეს სტენდებში შესაბამისი პერიოდის ტანსაცმელი, ქუდები და სხვა ნივთებია წარმოდგენილი. შერლოკ ჰოლმსის ცვილის ბიუსტი - უხმაურო თოფიდან ნასროლი ტყვიით განგმირული, დეტექტივის ლინზა და ორიგინალური ფორმის ჩიბუხი - ეს ყველაფერი ხომ ნაწარმოებიდან გადმოტანილი ექსპონატებია.

ეზოში, მუზეუმის წინ უკვე თავად ჰოლმსი ზის, ბრინჯაოში გამოსახული, ცნობილი ჩიბუხით ხელში და მის გვერდით სპეციალურად ადგილია თაყვანისმცემელთა ჩამოსაჯდომად და საერთო სურათების გადასაღებად.

მუზეუმიდან რეიხენბახის ჩანჩქერის ძირამდე 20 წუთის სავალია ფეხით. სადგურის მოედნიდან ავტობუსითაც შეიძლება მისვლა (გაჩერება

„ვილიგენი“). ჩანჩქერის შუაწელამდე ფუნიკულიორის წითელი ვაგონი აგვიყვანს (ორმხრივი ბილეთის ფასი 10 ფრანკია). ფუნიკულიორი 1899 წელს გახსნილა, რესტავრაციების მიუხედავად ვაგონებს ძველი სახე აქვს შენარჩუნებული. ასვლას სულ 7 წუთი სჭირდება და გავდივართ სამზერ პლატოზე, რომლის ნაწილი ჩანჩქერიდან წამოსული თეთრი ბურუსითაა დაფარული. მდინარე *არე* ამ ადგილას 200 მეტრიან სიმაღლიდან გადმოჩქეფს. ყველაზე ვიწრო ნაწილი 1 მეტრი სიგანისაა. წყლის ვარდნა 5 კასკადიანია. კალციუმის მარილებით მდიდარ წყალს თეთრი ფერი დაჰკრავს. ჩანჩქერის მეორე ნაპირის კლდეზე ჰოლმსისა და მორიარტის შერკინების ადგილი დიდი ვარსკვლავითაა მონიშნული და სამზერი პლატოდან კარგად ჩანს. ასევე, ოდნავ ქვემოთ შეგვიძლია დავინახოთ მცირე ზომის შეღრმავებული ქვაბული, სადაც შეიმალა დიდი დეტექტივი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ.

საოცარი გრძნობაა - ვათვალიერებთ ადგილებს და ისეთი გრძნობაა, თითქოს რეალური მოვლენების კვალზე დავდივართ! ცოტა უცნაურიც კი არის, რომ ადგილი, ასე პოპულარული ტურისტულ სამყაროში, არავითარ ისტორიულ მოვლენას რომ არ ემყარება და მთელი ეს სისტემა კონან-დოილის ფანტაზიით შექმნილ მოვლენებზეა დაფუძნებული. ფეხით სავალი ბილიკი ჩანჩქერის გასწვრივ 1888 წელს გაუჭრიათ. შეიძლება უკვე ფეხით ავუყვეთ ბილიკს და ზედა პლატოზე გავიდეთ - ნელი სვლით 20 წუთი გვჭირდება. ზემოდან კი შეიძლება დაშვება ლიტერატურული გმირების შებრძოლების ადგილისაკენ.

ჩანჩქერის გარშემო დიდი ტურისტული ინფრასტრუქტურაა შექმნილი - კაფე-რესტორნები, სასტუმრო, დასასვენებელი და სამზერი პლატფორმები.

ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება „გავაცოცხლოთ“ ის, რაც რეალურად არც ყოფილა და მრავალი ადამიანის შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ, უფრო მრავალთათვის კი სასიამოვნო დროსტარების ადგილად.

დასასრულ, დავუბრუნდეთ შესავალში დასმულ შეკითხვას. საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთი სარწმუნო ვერსიით, გურმანთა და კულინართა საყვარელი ჰაეროვანი *„ბეზე“* სწორედ მეირინგენშია გამოგონებული, ჯერ

კიდევ XVII საუკუნეში! ავტორად იტალიელი შეფ-მზარეული გასპარინი ითვლება (baiser - ფრ.: კოცნა). სხვა ვერსიები ეყრდნობიან XVI-XVII საუკუნეების დროინდელ კულინარულ წიგნებს, სადაც მსგავსი ნამცხვრების გაკეთებაა აღწერილი, თუმცა სხვა სახელებით. 1985 წელს მეირინგენელებმა გინესის რეკორდიც კი დაამყარეს - 2500 კვერცხისა და 120 კგ შაქრისაგან გამომცხვარი იქნა უზარმაზარი ბეზე, რომელიც მათვე 3 საათში შესანსლეს.

დავაკვირდეთ - აქაც არამატერიალური საფუძველი, თუმცა ზეიმი გრანდიოზული!

კაკაურიძე მარინა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მოდელირების დანერგვა ტურისტული საწარმოების საქმიანობაში

ტურისტული ბიზნესი გულისხმობს ურთიერთობათა რთულ სისტემას დამკვეთსა და მომხმარებელს შორის, ტურფირმებსა და მათ კონკურენტებს, ასევე, ბიზნეს პარტნიორებს შორის. ტურფირმის საქმიანობა ბაზარზე გულისხმობს: საბაზრო სეგმენტის არჩევას; ტურისტული პროდუქტის შემუშავებას; გაწეული მომსახურების მოცულობის განსაზღვრას; სარეკლამო საქმიანობის გაფართოებას; სამეცნიერო კვლევებს ;ინვესტიციების მოზიდვას;სხვა კომპანიებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ერთობლივ საქმიანობას.

ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლა წარმოადგენს ტურიზმის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ ინდიკატორს. დღეს ტურიზმის მთავარი მახასიათებელი კონკურენტუნარიანობაა, რომელიც თავისი მომსახურებითა და შეთავაზებული ტურპროდუქტებით, ადამიანთა დაკმაყოფილების ხარისხით, ასევე, საწარმოო საქმიანობის ეფექტურობით გამოხატავს მოცემული ფირმის განვითარების განსხვავებას კონკურენტული ფირმების განვითარებისგან.

კონკურენტუნარიანობა თავის თავში მოიცავს სამ ძირითად მახასიათებელს:

- ტურისტული საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი;
-ტურისტულ მომსახურებაში შეთავაზებული გასაღებისა და ხარისხიანი სერვისის პოლიტიკა;
-მომხმარებლის მიერ არჩეული უპირატესობა (ფირმის გასვლა მომხმარებლი მიზნობრივ ბაზარზე და საკუთარი ნიშის განსაზღვრა).

თითოეული ტურისტული საწარმოსთვის დღეს მთავარია კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბაზარზე თავისი პოზიციის გამყარება მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. არსებული და დაგეგმილი ტურისტული ბაზებისა და მარშრუტების ტურისტული რესურსები ხასიათდება ატრაქტულობის (მიმზიდველობის) ერთგვარი სიდიდეებით. ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული რესურსების კონკურენტუნარიანობისთვის.

საქართველოს მთვრობის დადგენილების თანახმად ტურისტული საწარმოს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირსაც, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების მათი ნაწილის მიწოდებას და ამ ქონების შემძენთნ გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების, მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად გამოყენებას (საქართველოს მთავრობის დადგენილება # 279, 2015 წლის 23 ივნისი, მუხლი 2, ქ. თბილისი).

ტურისტული ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის ზრდის შეფასების მეთოდების მოდელირება. ერთ-ერთი ასეთი ინოვაციური მოდელია იმიტაციურ-დინამიური მოდელი, რომელიც კომპლექსურად ასახავს ტურისტული საწარმოს საქმიანობაზე როგორც განვითარების გარე ფაქტორებს (მოთხოვნის სეზონი, ფასების ცვლა, კონკურენციის დონე ბაზარზე და ა.შ.), ასევე შიდა ფაქტორებს. მათ შორის, ინოვაციების შეტანას.

დინამიური მოდელი სამი ბლოკისგან შედგება:

-პირველი ბლოკი მიმართულია საწარმოს კონკურენტუნარიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლებისკენ (მაგ.: გარკვეულ ტურებზე მოდელირების დანერგვა ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში); ინოვაციური ტურიზმის გზაზე გადასვლა წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს წარმატებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავ-

შირებული შემოსული მოთხოვნების რაოდენობა ან ტურის დატვირთულობის კოეფიციენტი.

-მეორე ბლოკის ფარგლებში ხდება სცენარული მიდგომის რეალიზება, რაც უკავშირდება კონკურენტუნარიანობის ფორმირების პროგნოზირებას. კლიენტთა მომსახურების - პროცესების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს მასობრივი მომსახურების სისტემით.

-მესამე ბლოკში მიმდინარეობს ტურისტული ბიზნესის განვითარების მდგრადობის შეფასება; არსებობს მოსაზრება, რომ ტურიზმის სფეროს მდგომარეობა, მოსახლეობის კეთილდღეობა და ბაზრის კონიუნქტურა გავლენას ახდენენ ტურიზმის ფუნქციონირების ეფექტურობაზე; მაშინ, როცა საწარმოთა განვითარების დონე ტურიზმის სფეროს განვითარების ანუ მისი კონკურენტუნარიანობის ხარისხის მაჩვენებელია. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის (რეგიონის) მდგომარეობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ტუროპერატორის მომსახურების ზონის ასეთი შეფასება კეთდება საექსპერტო-პროგნოზირების მეთოდით).

ამრიგად, ტურისტული ფირმების საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მუშაობენ საკმაოდ მძაფრი კონკურენციის პირობებში, მოთხოვნის სეზონური მერყეობის პირობებში. მოთხოვნის ვარდნის პერიოდში ფასების დაწევით საწარმო კარგავს შემოსავალს და მცირდება მისი კონკურენტუნარიანობის დონე. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი მდგომარეობს ინოვაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მეთოდების დანერგვა მოითხოვს ზედმეტ დანახარჯს, სანაცვლოდ მათ შეიძლება მოიტანონ დამატებითი მოგება, რისთვისაც საჭიროა მოდელირების დანერგვა. შეფასების ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება. სწორედ ამ მეთოდებით უნდა მოხდეს ტურისტული ზონის მდგომარეობის შეფასება - ანალიზი, რის საფუძველზეც ხდება კლიენტებისთვის მიმზიდველი ტურის შეთავაზება. მნიშვნელოვანია ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის მართვის მოდელირებული კონცეფციის შემუშავება და დანერგვა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ტურისტული საწარმოს რაციონალური მართვა ჩატარდეს ადექვატური დინამიური მოდელების გამოყენებით,

რომლებიც ეფუძნება პრინციპულად ახალ მიდგომებს, მათ შორის, რეფ-ლექსურს, უნდა მოხდეს ტურისტული ბიზნესის საწარმოთა კონკურენ-ტუნარიანობის დონის პროგნოზირება იქედან გამომდინარე, რომ ,,ბიზნეს-პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ტურისტული საწარმოს შიგნით, ინერტულია. საწარმოს გარეგანი გარემო არასტაბილურია, შესა-ბამისად, საჭიროა განვითარების ტრაექტორიის შეფასება მიღწეული კონ-კურენტული უპირატესობების საფუძველზე, შემდეგ კი მოხდეს გარემოს ცვლილებისადმი საწარმოს მორგების უნარის გაანალიზება“.

ტურისტული საწარმოს კონკურენტუნარიანობის მოდელირებისას გამოყენებული რეფლექსური მიდგომა მდგომარეობს მონაცემთა ნომენ-კლატურის შემუშავებაში, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა და საწარმოს თანამშრომელთა ინტერესებს. არსებული და დაგეგმილი ტუ-რისტული ბაზრებისა და მარშრუტების ტურისტული რესურსები ხასი-ათდება ატრაქტულობის (მიმზიდველობის) ერთგვარი სიდიდეებით. ამ მომენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული რესურსების კონკუ-რენტუნარიანობისთვის მყიდველის ქცევა ტურისტულ ბაზარზე დამოკი-დებულია და ძირითადად განისაზღვრება მომხმარებელთა შემოსავლით. მოთხოვნილების მოცულობაზე შემოსავლის გავლენა პირდაპირია. რაც უფრო მაღალია მომხმარებელთა შემოსავალი, მით უფრო დიდია მათი რიცხვი.

ტურისტული საწარმოს კონკურენტუნარიანობის მართვის კიდევ ერთი მექანიზმია კონკურენტუნარიანობის დონის ზრდის სათავეებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებების გარკვევა. ასეთი ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანია. ამაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ინტერნეტ - მარკეტინგს და რეკლა-მებს.

ინტერნეტში რეკლამის პირველი შემადგენელი არის გარე რეკლა-მირება ანუ ბანერები, ტექსტური ბლოკები და სხვა სახის საშუალებები, რომელიც შემდგომ განთავსდება პოპულარულ და თემატურ ვებსაიტებზე ან კიდევ გადაიგზავნება ელექტრონული ფოსტით. გარე რეკლამის ძი-რითადი მიზანია მომხმარებელთა მოზიდვა კომპანიის ვებგვერდზე, თუმცა გარერეკლამას სხვა მიზნებიც შეიძლება მოჰყვეს.

ინტერნეტში გარე რეკლამის ძირითადი საშუალებებია:

1) ბანერი რეკლამა - ვებსაიტის რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი საშუალებაა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ადამიანების მოზიდვას (რომლებმაც ჯერ არ იციან ამ ვებ -საიტის არსებობის შესახებ) და ასევე იმიჯის რეკლამირებას;

2) ვებ-საიტებზე რეგისტრაცია და საძიებო სისტემებით ინდექ-სირება;

3) ელექტრონული ფოსტით სარეკლამო მესიჯების დაგზავნა;

4) პარტნიორული პროგრამების შემუშავება, რაც ახალი სტუმრების მოზიდვისა და ინტერნეტის საშუალებით გაყიდვების გაზრდის საკმაოდ ეფექტური საშუალებაა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ აუდიტორიის საკმაოდ დიდი ნა-წილი სკეპტიკურად არის განწყობილი რეკლამებისადმი. აქედან გამომ-დინარე, რეკლამა ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ზრდის პროდუქტის ცნობადობას, მაგრამარა გაყიდვებს. ამიტომ საჭიროა დამატებითი მარ-კეტინგული საშუალებების გამოყენება - პოტენციური კლიენტების პოვნა, გაყიდვების მართვა, პიარ-მასალების გამოქვეყნება, პიარ კამპანიების ჩა-ტარება, აგრეთვე, ინტერნეტში ინფორმაციის რეგულარულად გავრცე-ლება. ყველაფერი ეს აუცილებელია სწორი წარმატებული შედეგისთვის.

ამრიგად, ტურიზმის სფეროს კონკურენტუნარიანობიდან გამომ-დინარე მისი გადასვლა ინოვაციური განვითარების გზაზე წარმოადგენს ტურიზმის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ ინდიკატორს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.დავითაშვილი ეკ., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქარ-თველოში, თბილისი, 2016

2.ყორღანაშვილი ლარისა, ,,ტურიზმის ბიზნესი“, თბილისი, 2018

კაკაურიძე მარინა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მოდელირების დანერგვა ტურისტული საწარმოების საქმიანობაში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კონკურენტუნარიანობის ზრდის შეფასების მეთოდების მოდელირება. ერთ-ერთი ასეთი ინოვაციური მოდელია იმიტაციურ-დინამიური მოდელი, რომელიც კომპლექსურად ასახავს ტურისტული საწარმოს საქმიანობაზე როგორც განვითარების გარე ფაქტორებს, ასევე შიდა ფაქტორებს.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი, მოდელირება, ინოვაცია, კონკურენტუნარიანობა

Марина Какауридзе
Академик Академии туристических наук Грузии.

Внедрение моделирования в деятельность туристских предприятий

Резюме

В статье рассматривается моделирование методов оценки роста конкурентоспособности. Одной из таких инновационных моделей является имитационно-динамическая модель, которая комплексно отражает как внешние факторы развития, так и внутренние факторы деятельности туристского предприятия.

Ключевые слова: туристический бизнес, моделирование, инновации, конкурентоспособность.

Marina Kakauridze
Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Introduction of modeling into the activities of tourism enterprises

Summary

The article discusses the modeling of methods for assessing the growth of competitiveness. One of these innovative models is the simulation-dynamic model, which comprehensively reflects both external development factors and internal factors of the activity of a tourism enterprise.

Keywords: tourism business, modeling, innovation, competitiveness

კაკაურიძე მარინა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და არსებული რისკ-ფაქტორები საქართველოში

ტურიზმის მდგრადი განვითრებისთვის აუცილებელია თანაბარ-ზომიერად განვითარდეს მისი ყველა მიმართულება, რადგან მხოლოდ კოორდინირებული მოქმედებებით არის შესაძლებელი ტურისტების მო-თხოვნილებათა დაკმაყოფილება. ტურიზმის ერთ-ერთ საკვანძო მიმარ-თულებას წარმოადგენს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით სპეციალური ადგილების და ზონების რუკების შედგენა, რითაც ხდება იმ ადგილების მონიშვნა, რომელიც გამიზნულია ტურიზმისათვის.

ზონირება რეკომენდირებულია იმისთვის, რომ მოხდეს ბუნებრივი რესურსების დაცვა. ამით მოხდება ტურისტული პოტენციალის ეფექ-ტიანი გამოყენება, რათა სარგებელი მიიღონ როგორც ტურისტებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ. ასევე, მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიწის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება საჯარო და კერძო საჭიროებებისთვის, რითაც შენარჩუნებული იქნება ავთენტური გარემო. აღნიშნული საკითხი ტურიზმის მდგრადი განვითრების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ჩვენს ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების ზოგადი მიმოხილვითაც ნათელია, რომ საქართველო უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში, მაგრამ ქვეყანამ რომ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რეკრეაციული რესურსები და ტურისტული პოტენციალი, საჭირო იქნება ტურიზმის დარგში არსებული პრობლემების კომპლექსური გადაჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორს სხვადასხვა ძლიერი მხარეები და უდიდესი პოტენციალი აქვს, მისი განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია. ამ ნეგატიური სიტუაციის გამოსწორებისკენ მიმართულია შემუშავებული მსხვილმასშტაბიანი პროექტები, განსაკუთრებული ტურისტულ-რეკრეაციული ტიპის ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონული მიზნობრივი პროგრამები. ამასთან, ტურიზმის დაჩქარებული განვითარების ამოცანის გადაწყვეტა გართულებულია ტურიზმის დარგში არსებული კანონმდებლობის არასრულყოფილებით.

განსაკუთრებით აქტუალობას იძენს რეგიონების ტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბების საკითხი. ტურიზმის მდგრადი განვითრება უნდა იყოს ყოველია დამიანის ზრუნვის საგანი, რადგან იგი ერთდროულად არის თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრების ხარისხის შედეგი და გადამწყვეტი ფაქტორი. ამიტომ პარლამენტებმა და მთავრობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ტურიზმს საზოგადოების სხვა ძირითადი მოთხოვნილებებისა და საქმიანობის სახეების ჰარმონიულ შესაბამისობაში მისი განვითარების მიზნით.

საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით, როგორც ტურისტული დანიშნულების ქვეყანაში, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეკრეაციული ზონების მოფრთხილება-შენარჩუნებას, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების მოვლაპატრონობას. ეს საკითხები გათვალისწინებულია ტურიზმის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში. სწორედ ამ საკითხებზი გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და გავაანალიზოთ ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ტურიზმის დარგს ახლავს საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა ყველანაირად ცდილობს მოიზიდოს ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. ცდა უშედეგო არაა და უამარავი ტურისტი სტუმრობს საქართველოს და ათვალიერებს ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას. მაგრამ სამწუხაროოა, რომ საქართველოში არ ცდილობენ ამ ადგილების ისე გაფრთხილებას, დაცვას როგორც ევროპაში, არადა ეს აუცილებელია. მედალს ორი მხარე აქვს და ტურიზმის უარყოფითი მხარეც უნდა დავინახოთ. ეკონომიკის ზრდის სანაცვლოდ ჩვენ, ჩვენი კულტურის უძველესი ძეგლები საფრთხის წინაშე არ უნდა დავაყენოთ.

ტურიზმს ახლავს შემდეგი უარყოფითი მხარეები:

-ჰაერის დაბინძურება, ანუ CO2 ემისიები, რაც ხორციელდება თვითმფრინავებიდან და იმ სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ადგილებში გამოიყენება;

-მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები ტურისტული ადგილების გარშემო. არჩენების სუსტმა მართვამ შესაძლოა მასობრივი ტურიზმის თითოეულ ადგილს პრობლემები შეუქმნას იმ დროს, როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა. სამთო-სათხილამურო კურორტების სასრიალო ბილიკებზე, მდინარეების სანაპიროებზე, ზღვის სანაპიროზე ადამიანები ყრიან პოლიეთილენის პარკებს, საჭმელების ნარჩენებს, პლასტმასის ბოთლებს და ა.შ.

-იზრდება ძველი სტილის ნაგავსაყრელები, რაც უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს ბუნებაზე და შესაძლოა დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდეს; არასწორი ტექნოლოგიების პირობებში ნარჩენები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. მთიან სოფლებში კი ადამიანები ნაგავს ყრიან მდინარეებში, რაც იწვევს ეპიდემიური დაავადებების გავრცელების საშიშროებასაც.

-იზოლაციის არარსებობის გამო, საშიში ნივთიერებები ნიადაგსა და მიწის ქვეშა წყლებში ხვდება, აბინძურებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს და შედეგად – პროდუქტებს. ტურისტების მიერ მდინარეებთან და ხევებთან ახლოსმ დებარე ადგილების დანაგვიანება ეკოსისტემებს საფრთხეს უქმნის;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. ითვალისწინებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ტურისტულმა ბიზნესმა

გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და ლანდშაფ-ტებზე,ჰაერის, მიწისა დაწყლის ხარისხზე უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს..

- ასევე, ტურიზმს ახლავს ტყის რისკ-ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ვიზიტორებს და უბედური შემთხვევების მიზეზიც გახდნენ. მარშრუტზე გადაადგილების დროს ადამიანებმა შეიძლება მსუბუქი დაზიანებები მიიღონ, შეწუხდნენ მწერებისაგან, გარეულ ცხოველებთან შეხვედრამ შეიძლება ისინი შეაშინოს ან დააზიანოს, იგივე შეიძლება მოხდეს ცუდი ამინდის შემთხვევაშიც. ვიზიტორებს შეიძლება გზა აებნეთ, მოიწამლონ მცენარეებით, დასხვ. ამიტომ აუცილებელია მობილური სამაშველო ჯგუფების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის შექმნა.

-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, კიდევ არსებობს სხვა პრობლემებიც, მაგალითად, ტურიზმი უარყოფით ზეგავლენას ახდენს აგრეთვე გარემოზე იმითაც, რომ მთებსა და სანაპირო რეგიონში უზარმაზარი სასტუმროების მშენებლობა აზიანებს გარემოს, ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითად აისახება ადგილობრივ ეკოსისტემაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, გარემოზე ზემოქედების შეფასების გარეშე ასეთი შენობების აგება არ უნდა ხდებოდეს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიმართულებებზე მუშაობის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ყოველ ადეტალზე, - არის თუ არა ამა თუ იმ სახეობის განვითარებისთვის შესაბამისი რესურსები; არის თუ არა პოტენციური ტურისტული ბაზრები, რომელზეც შესაძლებელია გასვლა; აუცილებელია თუ არა საკმარისი შრომითი რესურსი ტურიზმის დარგისათვის მუშა მიგრანტების შემოყვანის გარეშე; გამართლებულია თუ არა დანახარჯები რეგიონის სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებისა და ტურიზმის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; არსებობს თუ არა კონკურენციის შესაძლებლობა მეზობელ რეგიონებთან ან არსებული პოტენციური ტურისტული პროექტირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1.რაჯებაშვილი გ., ტურიზმის განვითარება საქართველოში, თბილისი, 2012

2.კოჭლამაზაშვილი ლ. ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, თბ, 2014

კაკაურიძე მარინა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და არსებული რისკ-ფაქტორები საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ზონირება, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით სპეციალური ადგილების და ზონების რუკების შედგენა, რითაც ხდება იმ ადგილების მონიშვნა, რომელიც გამიზნულია ტურიზმისათვის.ზონირება რეკომენდირებულია იმისთვის, რომ მოხდეს ბუნებრივი რესურსების დაცვა. ამით მოხდება ტურისტული პოტენ-ციალის ეფექტიანი გამოყენება, რათა სარგებელი მიიღონ როგორც ტუ-რისტებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ.

საკვანძო სიტყვები: ზონირება, რუკების შედგენა, ტურისტული პოტენციალი

Марина Какауридзе

Академик Академии туристических наук Грузии.

Основные направления туризма и существующие факторы риска в Грузии

Резюме

В статье рассматривается зонирование, которое представляет собой картографирование особых мест и зон по территории страны и региона с выделением тех мест, которые предназначенны для туризма. Зонирование рекомендуется для защиты природных ресурсов. Таким образом, турис-

тический потенциал будет использоваться эффективно, что принесет пользу как туристам, так и местным жителям.

Ключевые слова: зонирование, картографирование, туристический потенциал.

Marina Kakauridze
Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Main directions of tourism and existing risk factors in Georgia

Summary

The article discusses zoning, which is the mapping of special places and zones throughout the country and region, highlighting those places that are intended for tourism. Zoning is recommended to protect natural resources. In this way, the tourism potential will be used effectively, which will benefit both tourists and local residents.

Key words: zoning, mapping, tourism potential

კაკაურიძე ნათელა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის ახალი სახეობების ინოვაციური განვითარება საქართველოში

ტურისტული მომსახურების ბაზარზე 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მკვეთრი კონკურენცია შეიქმნა. უცხოურმა ფირმებმა თავიანთი შესაძლებლობების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს კლიენტებს. მსგავსი მეთოდები თანდათან საქართველოშიც დაინერგა. საქართველოში ტურიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა დარგის მდგრად განვითრებას აფერხებს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

- დაბალი პროფესიონალიზმი;
- მაღალი დაბეგვრა;

- ეკონომიკური არასტაბილურობა;

- სისტემური მეთოდოლოგიის სიმცირე და ა.შ.

თუმცა კონკურენტუნარიანობის ხარისხის შემსწავლელი სპეციალისტების პროგნოზით საქართველო შედის ტურისტებს შორის პოპულარული რეგიონების რიცხვში. ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო და შემოსავლების ზრდის წყაროა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის შესაყარზე და ოდითგან იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების ერთმანეთთან დამაკავშირებელი. შავი ზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

ბოლო წლებში საქართველოში დაიწყო ტურიზმის ახალი სახეობების ხელშეწყობა, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიიულიბუნებრივი პირობები და ისტორიულ-კულტურული ტრადიციები. 1971 წლიდან იუნესკოს დამუშავებული აქვს პროგრამა ,,ადამიანი და ბიოსფერო“, რომლის მიხედვით, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ძეგლებს ენიჭება ,,მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურის“ სტატუსი. იუნესკოს ფონდშია მოხვედრილი ისეთი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, როგორიცაა: ქ.მცხეთა, ბაგრატისა და გელათის ტაძრები. ამან ხელი შეუწყო საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითრებას.

ამჟამად საქართველოში კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ მატერიალური კულტურის 1 200-ზე მეტი ძეგლია. იმისათვის, რომ ტურიზმმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს და მოიტანოს ეკონომიკური მოგება, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, რათა ისინი სრულ მნიშვნერლოვანი სახით წარსდგნენ დამთვალიერებელთა წინაშე. ეს ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწესრიგება.

ტურისტულ ატრაქციებს შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს იმ ძეგლებს, რომლებიც იუნესკოს მიერაა აღიარებული. ვითარდება ტურიზმის სხვა ინოვაციური სახეებიც. კერძოდ: გასტრონომიული ანუ

კულინარიული ტურიზმი ახალი სახეობაა და მისით დაინტერესებული არიან ის ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ცხრა მთას იქითაც კი მიდიან თავიანთი გასტრონომიული ინტერესების გასაფართოვებლად. ეს ადამიანები ჭამის მოყვარულები არ არიან, საუბარია გურმანებზე, ისტორიის მკვლევარებზე, ანთროპოლოგებზე და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებზე.

გასტრონომიული ტურიზმით გატაცებული ტურისტები ხშირად ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ გასტრონომიული კუთხით ქვეყნის გასაცნობად მოგზაურობენ. ამიტომაც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ტურისტი არ მიდის მუზეუმებში და გამოფენებზე, მაგრამ ყველა ტურისტი აგემოვნებს ქვეყნის ნაციონალურ კერძებს, რადგან აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყნის ეთნოკულტურა. გასტრონომიული ტურიზმის ბუმიც XXI საუკუნეში დადგა.

გარდა ადგილობრივი გასტრონომიული კულტურის შეცნობისა, გასტრონომიული ტურიზმი ინტერესდება ადგილობრივი კერძების ავთენტური გემოს შექმნის ტექნოლოგიური პროცესების ადგილზე გაცნობად და კერძების მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამისთვისაც იხდის ის დიდ ფულს. ტურისტი აცნობიერებს, თუ რა რადიკალური განსხვავება და რა საერთოა იმ ქვეყნის, თუ რეგიონის წარმომადგენლებს და მას შორის.

აჭარაში გასტრონომიული ტურიზმის განსავითარებლად იმართება ფესტივალები როგორც ღვინის, ასევე კერძების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ა.შ. ადგილობრივად ფესტივალებში მონაწილეობა და ტრადიციის თუ კულტურის ნაწილად ქცევის პროცესი, კიდევ უფრო შთმბეჭდავს ხდის ტურისტის შთაბეჭდილებებს.

აგროტურიზმი - ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი სექტორია. იგი ორიენტირებულია შექმნას ტურიზმის პროდუქტი სასოფლო ადგილებში, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებით. აგროტურიზმის განვითრებასთან დაკავშირებით აჭარაში გაიმართა რამდენიმე კონფერენცია და გამოფენა. მაგალითად: ბათუმის აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა; სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია და სხვა. .

ეკოტურიზმი - ველურ ბუნებასთან ურთიერთობაა. ტურიზმის ეს სახეობა ხელს უწყობს ბუნების მოვლას და ასევე, ძალიან მომგებიანია დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდისთვის. ეკო ტურიზმი ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ის გულისხმობს ტურისტებისა და ვიზიტორების მიერ ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მიახლოებითი გამოანგარიშებით საერთაშორისო ტურიზმის დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება.

ეკოტურიზმისა და ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვაზე დაფუძნებული სხვა ტურისტული საქმიანობების ზრდის ტემპიც ყველაზე მაღალი უნდა იყოს ყველა სხვატურისტულ სეგმენტებთან შედარებით. ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია:

- განვითარების მდგრადობა;
- ეკონომიკური სარგებლიანობა ადგილობრივი თემებისათვის;
-ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია;
- საგანმანათლებლო კომპონენტი.

საქართველოში ეკოტურისტებს შესაძლებლობა აქვთ დატკბნენ არა მხოლოდ ულამაზესი ბუნებით და ლანშაფტებით, არამედ 35 ათასი ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 5 ათასს სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან ოთხი მათგანი იუნესკოსმსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შევიდა:

1. საქართველოსუძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი – მუზეუმი;
2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI ს.);
3. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI ს.);
4. უშგულის არქიტექტორული ანსამბლი.

ეკოტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებს აჭარა სთავაზობს ულამაზეს ბუნებას, მთებს, ჩანჩქერებს, ლაშქრობებს, თევზაობას მთის მდინარეებში, ნადირობას და ა.შ.

საქმიანი ტურიზმი - გულისხმობს სხვადასხვა სახის გამოფენებისა და კონფერენციების ჩატარებას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, სატრანზიტო ფუნქცია ევროპასა და აზიას შორის, უნიკალური

შანსია ქვეყანაში MICE ინდუსტრიის - საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და საქმიანი შეხვედრების განვითარებისათვის. უნიკალური კლიმატი, ულამაზესი ბუნება, მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა საქმიანი მოგზაურობებისას ბიზნესისა და დასვენების შერწყმისათვის.

საქართველოში MICE ტურიზმის განვითარების წარმატებული მაგალითებია: მრავალრიცხოვანი საერთაშორისო და მაღალი დონის ღონისძიებებით ჩვენმა ქვეყანამ ტურიზმის ტრანსლაციურ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა. აქ ოპერირებენ ისეთი მაღალი დონის შეხვედრებს, კონფერენციებს, გამოფენებს, როგორიცაა:

- ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა;

- აგრო-სასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა;

- საერთაშორისო სამშენებლო და დიზაინის გამოფენა;

- სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია და სხვა.

სამთო-სათხილამურო ტურიზმი ძალიან პოპულარულია ტურიზმის ინდუსტრიაში. საქართველოს ამ მიმართებით დიდი პოოტენციალი აქვს. ცნობილია რამდენიმე სამთო-სათხილამურო კურორტი: ბაკურიანი და გუდაური. მაღალმთიანი აჭარაც სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს სთავაზობს დიდ არჩევანს. ძნელად თუ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩნდეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ტიპის სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირეთისა და ზღვის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყარო, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები და სხვა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში შემოვიდა 4 756 820 ტურისტი, რაც 687 466-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ასევე, საქართველოში მთის კურორტებზე ვიზიტორების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. სულ სამთო კურორტებზე ტურისტთა რაოდენობა იყო 514 874.

ზამთრის მთის კურორტებზე ტურისტთა ვიზიტის 2023 წლის სტატისტიკა ასეთია:

- კურორტ გუდაურში დაფიქსირდა 345 997 ვიზიტორი, რაც წინაწლებთან შედარებით 25%-ით მეტია;

- ბაკურიანში 15%-იანი ზრდაა. კურორტს ეწვია 132 704 ტურისტი;

- მაღალმთიან აჭარაში კიურორტ გოდერძის 10 283 ვიზიტორი ეწვია, წინა ორ წელთნ შედარებით 129%-ით მეტი;

- სვანეთში, კურორტ თეთნულდზე ვიზიტორთა რაოდენობა 122%-ით გაიზარდა; ჰანვალზე კი 119%-ით მეტი. სულ თათნულდსა და ჰაწვალს 35 890 ვიზიტორი ეწვია.

საქართველოში ბოლო დროს ვითარდება ტურიზმის ინოვაციური სახეობა რაფტინგი- იგივე ჯომარდობა, მდინარე ზენავითან სპეციალური ტივით დაშვება. რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული სპორტია. კარგი პერსპექტივები აქვს იმ რაიონში, სადაც ტურისტები-სათვის საინტერესო ადგილებია მდინარის ნაპირებზე, არხებსა და ტბებზე, ასევე ზღვისა და ოკეანის სანაპირო ზონებსა და კუნძულებზე, რადგანაც ტურისტების განთავსება და სხვა მომსახურება ხდება გემბანზე, ამიტომ დიდ სახმელეთო ტურისტულ ინფრასტრუქტურას არ საჭიროებს. მაგრამ ამასთან აუცილებელია ნავსაყუდელი დიდი საკრუიზო გემები-სათვის და ეფექტური სახმელეთო-საექსკურსიო მომსახურება.

ტურიზმი კენპინგებსა და კარვებში - დიდი პოპულარობით სარგებ-ლობს და შეიძლება შემოსავლის წყარო გახდეს ადგილობრივი მოსახ-ლეობისათვის. კემპინგებისა და კარვებისათვის მოძიებული ე.წ. ველური ადგილები იდეალურად უნდა ერწყმოდეს გარემოს და უზრუნველყო-ფილი იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ეთნიკური და ნოსტალგიური ტურიზმი - სათაურიდან გასაგებია მოგზაურობის მოტივაცია. ტურიზმის ამ სახეობას დიდი პოტენციალი გააჩნია. ტურისტები, რომლებიც ასეთ მოგზაურობაში მიდიან, როგორც წესი, სარგებლობენ ტრადიციული ტურისტული ობიექტებითა და მომსა-ხურებით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება სპეციალური გიდების სამსახურების შექმნა, ასევე ახალი მარშრუტების დამუშავება.

ნადირობა და თევზაობა – ნადირობა, გარეული ნადირისა და ფრინ-ველის მოპოვებაა. ადამიანის საწარმოო მოღვაწეობის ერთ-ერთი უძვე-ლესი დარგია. თავდაპირველად (პალეოლითისეპოქაში) ნადირობა კო-

ლექტიურ ხასიათს ატარებდა და ნანადირევსაც კოლექტიურად იყენებ-დნენ. იგი შეხამებული იყო მეთევზეობასთან, მიწათმოქმედებასთან, მეცხოველეობასთან და სხვა დარგებთან.

სამთო ტურიზმი - ქვეითი ტურიზმის ერთ-ერთი სახეა. მთები ბევ-რად უფრო რთულ მარშუტს სთავაზობს ტურისტს. მთაში მოგზაურო-ბისას საჭიროა უფრო დეტალური რუკა. აუცილებელია ყურადღება მიექ-ცეს შესაბამისი ტანსაცმლის შერჩევას, ტურისტის ფიზიკურ მომზადებას და მთაში გადაადგილების წესს- ჩვევების გათვალისწინებას. ცალკეულ მწვერვალებზე, თუნდაც მთის კალთებზე ასვლისას აუცილებელია, რომ ტურისტს ჰქონდეს ინფორმაცია სამაშველო სამსახურების ან მოხალისე მაშველების შესახებ. სასურველია იყოს რეგიონში არსებული მწვერვა-ლების ფოტოები და მარშრუტების დამახასიათებელი ხედები შესაბამისი განმარტებებით. მნიშვნელოვანია, რომ ბილიკზე მოძრაობისას შემუშა-ვებული იყოს სამაშველო შეტყობინებების გადაცემის მექანიზმი (მობი-ლურიკავშირი, რადიოკავშირი, კოორდინატები და ა.შ.). წინასწარ მოფიქ-რებული უნდა იყოს ევაკუაციის საშუალებების გამოყენება და დაზღვევა.

ველოტურები - უკანასკნელ პერიოდში პოპულარობით სარგებ-ლობს. ველოტურების მოყვარული ქირაობს ველოსიპედს (ან საკუთარი აქვს) და სარგებლობს ტურისტულ მეურნეობებთან არსებული (მარკირე-ბული) საველოსიპედო მარშრუტებით. ტურისტულ რუკაზე ველო მარ-შრუტები დატანილია თავისი აღნიშვნებით და დეტალური ინფორმა-ციით (მაგ., მარშრუტის საფარის ხარისხი, დახრილობა, აღმართისა თუ დაღმართის სიგრძე და ა.შ). ტურისტული ღირსშესანიშნაობების, ტურის-ტული რესურსების დაკვების ობიექტების ჩათვლით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ველოსიპედების სერვისის პუნქტის აღ-ნიშვნაც. ველოსიპედის დაქირავებისა და ჩაბარებისას აუცილებელია მი-სი შემოწმება (მუხრუჭი, ფარი დასხვ.) ველოსიპედი შესაძლოა იყოს აღ-ჭურვილი საბარგულით, ხოლო ტურისტები შესაბამისი ტანსაცმლით (აუცილებელია ჩაფხუტის, ქამრისა დაშუქის ამრეკლის გამოყენება). სამ-თო ველოსიპედისათვის უმთავრესი მოთხოვნაა მისი უსაფრთხოება და გამართული მდგომარეობა. ყოველი გაქირავების წინ ველოსიპედი გულ-დასმით უნდა შემოწმდეს.

საცხენოსნო ტურიზმი-სოფლის გარემოში აქტიური დასვენების კიდევ ერთი პოპულარული სახეობაა. შესაძლებელია მასპინძელმა ტურისტს შესთავაზოს ცხენზე ჯდომის სწავლება, ცხენით გასეირნება ან ტურისტული საცხენონოსნო მარშრუტების გავლა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტურიზმის სწრაფ განვითარებასა და უცხოელ ტურისტთა მასიურ მოზიდვას ხელს უწყობს ჩვენი უნიკალური ფლორა, ადვილად მისაწვდომ სივრცეზე მდებარე სუბტროპიკული და ალპური ზონები, ანკარა მდინარეები, წლის ერთსა და იმავე დროს მწვანე და თოვლიანი მთები.

საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისა, რომ იყოს მსოფლიოში გამორჩეული ტურისტული ქვეყანა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა სახის ტურისტული მოთხოვნილება. ამ პირობათაგან გამოსარჩევია ის, რომ საქართველო არის უძველესი ქვეყანა, აქვს თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტით, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი, ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მდინარეები და ჩანჩქერები, კურორტები, მინერალური წყაროები, უამრავი ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლი.

ამრიგად, საერთაშორისო ტურიზმის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობა უნდა გააქტიურდეს ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონების განვითარების ტურიზმის პერსპექტივებზე საქართველოში, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო რესურსის მქონეა. „ევრაზიის ხიდისა“ და „აბრეშუმის დიდი გზის“ სივრცე ტურიზმის განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივას სახავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.მეტრეველი მ., გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012

2.რაჯებაშვილი გ., ტურიზმის განვითარება საქართველოში, თბილისი, 2012

3.კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმის თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2019

კაკაურიძე ნათელა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის ახალი სახეობების ინოვაციური განვითარება საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ტურიზმის სფეროში ინოვაციური საქმიანობა, რაც ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორია. დღეს ტურიზმის მთავარი მახასიათებელი კონკურენტუნარიანობაა, რომლის ზრდისთვის აუცილებელია ინოვაციური მოდელების შემუშავება. გაშუქებულია საქართველოში ტურიზმის ინოვაციური სახეების ფუნქციონირების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური საქმიანობა, კონკურენტუნარიანობა.

Какауридзе Натела
Академик Академии туристических наук Грузии.

Инновационное развитие новых видов туризма в Грузии

Резюме

В статье анализируется инновационная деятельность в сфере туризма, которая является одним из индикаторов развития данной сферы. Сегодня основной характеристикой туризма является конкурентоспособность, для роста которой необходимо развивать инновационные модели. Освещается текущая ситуация и перспективы инновационных видов туризма в Грузии.

Ключевые слова: инновационная деятельность, конкурентоспособность.

Kakauridze Natela
Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

Innovative development of new types of tourism in Georgia

Summary

The article analyzes innovative activity in the field of tourism, which is one of the indicators of the development of this area. Today, the main characteristic of tourism is competitiveness, for the growth of which it is necessary to develop innovative models. The current situation and prospects for innovative types of tourism in Georgia are highlighted.

Key words: innovative activity, competitiveness.

კაკაურიძე ნათელა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში

ტურიზმის სფერო თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფადგანვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. მე-20 საუკუნის ბოლოდან ტურიზმი გადაიქცა საერთშორისო და ინტერნაციონალურ ინდუსტრიად, რასაც ხელი შეუწყო ორმა ურთიერთ განმაპირობებელმა ფაქტორმა. ერთი მხრივ, ტურისტული საწარმოები დიდი სარგებლისა და შემოსავლების გასაზრდელად სისტემატიურად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მთელ მსოფლიოში და მეორე მხრივ, რენტაბელობის ასამაღლებლად ახდენენ ტურისტული ბიზნესის ინვესტირებას საერთაშორისაო დონეზე.

ტურიზმის საშუალებით მსოფლიოში XXI საუკუნის დასაწყისისთვის 2000 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნა. გარდა ამისა, საერთაშო-

რისო ეკონომიკის ეს პოპულარული სფერო ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ბუნებრივი თუ ისტორიულ-კულტურული რესურსების გამოყენებას, დაცვას, განვითრებას, ამა თუ იმ ქვეყნის ცნობადობის უზრუნველყოფას და მისი შემოსავლების ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ,,ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი" ტურიზმი განხილულია, როგორც:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი;
- მდგრადი განვითარების ფაქტორი;
- სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და თავისი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში;
- საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

ტურიზმი სხვადასხვა ხალხებს შორის დიალოგის პირობების შექმნის საშუალებაა. მისი განვითრებით დაინტერესებული მრავალი კომპანია სულ უფრო და უფრო რწმუნდება, თუ რა დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს ამ სფერომ ადამიანების ურთიერთგაგებაში. ქვეყანაში სწორად წარმართული ტურიზმის პოლიტიკის შედეგა იზრდება ტურისტთა რაოდენობა, რაც განაპირობებს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენელთა შორის, ხელს უწყობს ერების დაახლოებას, მათ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას, მშვიდობის დამყარებას.

ტურიზმის ზრდა-განვითარება მთელ მსოფლიოში განპირობებულია კარგი პოლიტიკური კურსის გატარებით. მთავრობებმა, კერძო სექტორმა და არაკომერციულმა დაწესებულებებმა ერთად უნდა იმუშაონ, რათა იყვნენ ლიდერები მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის შექმნაში, რომელიც გასცდება ეკონომიკურ სარგებელს და მოიცავს ეკოლოგიურ და კულტურულ ინტერესებსაც. ტურიზმი, როგორც ეკონომიკური ფენომენი, საზოგადოების განვითარების აქტუალური საკითხების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. მას გააჩნია დასაქმების მზარდი შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი ბიზნესისთვის დიდი ფულადი შემოსავლების მომტანია. ტურიზმის მდგრადობის დონე, მისი ეკონომიკური მნიშვნელობის მუდმ-

ივი ზრდა მსოფლიო ლიდერებმა მიიჩნიეს ზოგადად ეკონომიკის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს საშუალება .

ტურიზმი ახალი დარგია, მაგრამ მისი ფესვები უშორეს წარსულშია საძიებელი. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ისტორიულმა ცივილიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოგზაურობის განვითარებაში. მაგალითად, შუმერები დაახლოებით 4000 წლით ადრე ქრისტეშობამდე ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებში, ეგვიპტიდან და ინდოეთიდან შემოჰქონდათ საქონელი. ასევე, ვაჭრობა და მოგზაურობა გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში, ფინიკიელებში, ძვ, საბერძნეთში, რომში და ა. შ.

ადამიანები ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინ, XI დინასტიის ფარაონების პერიოდში, მოგზაურობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობა შემდგარა ჩვ.წ.აღრიცხვამდე 125 წელს. ეს იყო სიმ ციანის სამი მოგზაურობა ჩინეთის ტერიტორიაზე. ანტიკურ პერიოდში მოგზაურობის ძირითადი მოტივები იყო ვაჭრობა, სამყაროს შეცნობა, გამოჯანმრთელება, განათლება. უკვე ჩვ.წ.აღრიცხვით I საუკუნეში მოგზაურთა ორგანიზებული მომსახურების ელემენტები წარმოჩინდა, რაც შემდგომში თანამედროვე ტურისტული მომსახურების საფუძველი გახდა.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ საუკუნეებში ხალხი მოგზაურობდა ვაჭრობის მიზნით, რელიგიური რწმენის გამო, ეკონომიკური სარგებლის მიღების, ომის, მიგრაციისა და სხვა ანალოგიური მოტივაციებით. რომის იმპერიის ხანაში შეძლებული არისტოკრატები და მმართველი წრეები მოგზაურობდნენ სიამოვნების მისაღებად და გასართობად. პომპეისა და ჰერკულანუმში მდებარე ზღვისპირა კურორტები საშუალებას აძლევდა რომაელებს გასცლოდნენ რომის ცხელ ზაფხულს და თავი შეეფარებინათ თავიანთი საზაფხულო ვილებისათვის. მოგზაურობა სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცივილიზაციის განვითარებაში. რაც შეეხება ადრეული ტურიზმს, მის მამად აღიარებულია მარკო პოლო, რომელმაც ევროპელთაგან ერთ-ერთ პირველმა გადაკვეთა აზიის კონტინენტი. მარკო პოლომ პირველმა შექმნა რაციონალური აზრი მოგზაურობის შესახებ. მანვე მისცა მიმართულება ადამიანებს, გაეგოთ, რა გავლენას ახდენს მოგზაურობა მსოფლიო კულტურაზე, განსაზ-

ღვრა მოგზაურობის სოციალურ-კულტურული ასპექტები, გარემოს პირობები სხვადასხვა ლოკაციის ადგილებში და სხვა საკითხები. ამიტომაც ითვლება მარკო პოლო ,,ადრეული ტურიზმის პოლიტიკის მამად“.

დღეისათვის მოგზაურობამ და ტურიზმმა შეიძინა როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობა და განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკურ სექტორად იქცა. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას კი მე-20 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ამას ხელი შეუწყო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ტექნიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა. არსებითი გავლენა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე მოახდინა სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ, რკინიგზის შექმნამ, მოგვიანებით კი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების გაჩენა განვითარებამ.

დღესდღეობით ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმძლავრეს, დინამიურად განვითარებად და მაღალშემოსავლიან სფეროს. 2002 წლის დასაწყისისთვის ტურიზმი საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ექსპორტზე პირველ ადგილზე გავიდა და გაუსწრო საავტომობილო მრეწველობას, ქამიური პროდუქტებისა და საწვავის წარმოებას, კვების პროდუქტების, კომპიუტერისა და საოფისე მოწყობილობის წარმოებას და მსოფლიო ვაჭრობის საერთო მოცულობის 7,9% შეადგინა.

ტურიზმის განვითარება, გამოვლენილი მის მრავალდარგობრივ და პრაქტიკულად ყველა სასიცოცხლო სფეროსთან კავშირით, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონულ დონეზე. გლობალიზაციის ეპოქაში თანამედროვე ტურიზმი კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვით გადაიქცა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების იმ სფეროდ, რომელმაც ულტრათანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებითა და მომსახურებით სულ სხვაგვარი წარმოდგენები შექმნა დროსა და სივრცეზე. ამის შესაბამისად კი გაჩნდა ახალი ტენდენციები, მოძრაობები, მიმართულებები.

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფო პოლიტიკა, რასაც, პირველ რიგში, ეროვნული სტრატეგიის შემუ-

შავება და დარგის საკანონმდებლო უზრუნველყოფა განსაზღვრავს. ამ სტრატეგიის შემმუშავებელი და გამტარებელი სახელმწიფო ორგანოა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომლის ფუნქციებია:

- ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-გატარება;
- კანონშემოქმედებითი საქმიანობა და არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- მომსახურების ობიექტების სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;
- ტურიზმის დარგში განათლება და პროფესიული მომზადება-გადამზადება, სასწავლო სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი.

ამრიგად, ტურიზმს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტია, იგი ხელს უწყობს შემოსავლების წარმოებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ახალი ბიზნესების მომრავლებას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ახალი პროდუქტების შემუშავებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ტურიზმი უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრების დონის უფრო მაღალ ხარისხს, ამავდროულად, იგი მოიტანს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმი თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების უმრავლესობისათვის განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის გენერატორი, კრიზისების დაძლევის ძირითადი ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1.მარგველაშვილი მ., ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი, 2012
2.დავითაშვილი ეკ., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2016
3. ყორღანაშვილი ლარისა, ,,ტურიზმის ბიზნესი“, თბილისი, 2018

კაკაურიძე ნათელა
საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკაში, ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ტენდენციები და ამ ინდუსტრიაში საქართველოს ჩართულობის საკითხი. ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება და მან განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, გლობალური ეკონომიკა

Какауридзе Натела
Академик Академии туристических наук Грузии.

Роль и значение туризма в развитии международной экономики

Резюме

В статье рассматриваются роль и значение туризма в международной экономике, мировые тенденции туристической индустрии и вопрос участия Грузии в этой отрасли. Туризм является составной частью международных экономических отношений и важным рычагом развития мировой экономики. Ее роль и значение постоянно растут и она заняла особое место в мировой экономической структуре.

Ключевые слова: индустрия туризма, мировая экономика.

Kakauridze Natela
Academician of the Academy of Tourism Sciences of Georgia

The role and importance of tourism in the development of international economics

Summary

The article discusses the role and importance of tourism in the international economy, global trends in the tourism industry and the issue of Georgia's participation in this industry. Tourism is an integral part of international economic relations and an important lever for the development of the world economy. Its role and importance are constantly growing and it has taken a special place in the world economic structure.

Keywords: tourism industry, global economy

შინაარსი

შორენა სიხარულიძე - მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, უკეთესი საგანმანათლებლო შედეგების მისაღწევად 5

ვლადიმერ ცხადაძე - აკაკი წერეთელი ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ 12

ომარი ცხადაძე - დიმიტრი მინდიაშვილი - ჩემპიონების აღმზრდელი .. 19

ვლადიმერ წვერავა - გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (პირველი ნაწილი) 33

ვლადიმერ წვერავა - გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (მეორე ნაწილი) 36

ნატო ჟორჟოლიანი - საქართველოს თავისუფლების ლიგის შექმნის შესახებ……..... 43

დარია ჯუსუპოვა - ალტერნატიული ენერგია – მომავლის ენერგია ყაზახეთისთვის…….....48

დ.ჯუსუპოვა, რ.მუმინოვა, გ.აბდიმანაპოვა - საერთაშორისო თანამშრომლობა არალის ზღვის პრობლემების გადასაჭრელად 54

ედიშერ ცხადაძე - შვეიცარიის მეირინგენი და რეიხენბახის ჩანჩქერი .. 62

მარინა კაკაურიძე - მოდელირების დანერგვა ტურისტული საწარმოების საქმიანობაში……..... 66

მარინა კაკაურიძე - ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და არსებული რისკ-ფაქტორები საქართველოში 72

ნათელა კაკაურიძე - ტურიზმის ახალი სახეობების ინოვაციური განვითარება საქართველოში 77

ნათელა კაკაურიძე - ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში 86

Содержание

Шорена Сихарулидзе - Вовлечение родителей в школьную жизнь для достижения лучших результатов обучения 5

Владимир Цхададзе - Акакий Церетели о важности физического воспитания 12

Омари Цхададзе - Дмитрий Миндиашвили - воспитатель чемпионов **.... 19**

Владимир Цверава - Георгий Вахтангович Батонишвили (первая часть) **. 33**

Владимир Цверава - Георгий Вахтангович Батонишвили (вторая часть).... 36

Нато Джорджолиани - О создании Лиги свободы Грузии 43

Дария Джусупова - АЛЬТЕРНАТИВНАЯ ЭНЕРГЕТИКА – ЭНЕРГИЯ БУДУЩЕГО ДЛЯ КАЗАХСТАНА 48

Джусупова Д.Б.,Муминова Р.Н., Абдиманапова Г.С. - МЕЖДУНАРОДНОЕ СОТРУДНИЧЕСТВО ДЛЯ РЕШЕНИЯ ПРОБЛЕМ АРАЛЬСКОГО МОРЯ 54

Эдишер Цхададзе - Майринген и Райхенбахский водопад в Швейцарии …..... 62

Марина Какауридзе - Внедрение моделирования в деятельность туристских предприятий 66

Марина Какауридзе - Основные направления туризма и существующие факторы риска в Грузии 72

Натела Какауридзе - Инновационное развитие новых видов туризма в Грузии 77

Натела Какауридзе - Роль и значение туризма в развитии международной экономики 86

Contents

Shorena Sikharulidze - Involving parents in school life to achieve better educational outcomes 5

Vladimir Tskhadadze - Akaki Tsereteli about the importance of physical education 12

Omari Tskhadadze - Dimitri Mindiashvili - breeder of champions 19

Vladimir Tsverava - Giorge Bagrationi (first part) 33

Vladimir Tsverava - Giorge Bagrationi (second part) 36

Nato Jorjoliani - About the creation of the League of Freedom of Georgia 43

Dariya Jussupova - ALTERNATIVE ENERGY – THE ENERGY OF THE FUTURE FOR KAZAKHSTAN 48

Jussupova D.B., Muminova R.N., Abdimanapova G.S. - INTERNATIONAL COOPERATION TO SOLUTION THE PROBLEMS OF THE ARAL SEA 54

Edisher Tskhadadze - Switzerland's Meiringen and Reichenbach Falls 62

Marina Kakauridze - Introduction of modeling into the activities of tourism enterprises 66

Marina Kakauridze - Main directions of tourism and existing risk factors in Georgia 72

Natela Kakauridze - Innovative development of new types of tourism in Georgia 77

Natela Kakauridze - The role and importance of tourism in the development of international economics 86

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

Журнал выходит четире раза в год

Journal out four times a year

მისამართი: როძევიჩის ქ. № 2, ქუთაისი, 4600, საქართველო;
ტ: 551 60 85 60; 571 45 11 45

Адр: ул. Родзевичава № 2, Кутаиси, 4600, Грузия;
Т: 551 60 85 60; 571 45 11 45

Adress: st. Rodzevic № 2,
Kutaisi 4600, Georgia; T: 551 60 85 60; 571 45 11 45

გადაეცა დასაბეჭდად 09.11.2023 წ.

E-mail akadtour@gmail.com wwww.acaduni.edu.ge

dakabadonda da daibeWda
Sps “meranis” mier
quTaisi, cisferyanwelTa q. #6
tel: 0431 24 68 40